





საქართველოს  
სოციალისტური  
რესპუბლიკის

# სამაგისტრო ჩანჩქი



უფროსი გამოცემის 1923 წლიდან  
სოციალისტური საზოგადოებრივი-  
კოლმეცნიერული და სალიბერალური-  
სამხატვრო ჟურნალი

ნომერი შიბ:

- ოთარ ჭინჭალაძე — კოლმეცნიერული კულტურა
- ჯემალ მესხიშვილი — კომპიუტერის ეფექტი
- ნანა ჩიბოგიძე — დარიალს იქით
- გელა საითიძე — „კონკრეტული კონკრეტული“
- რამაზ სურგანიძე — რა გედი ეწია?
- გიორგი გოგიტაშვილი — თალაკვაძის ხმალი
- კარლო მაჭარაშვილი — 100 წელი ერის სამსახურში
- არნოლდ ბეგაშვილი — მარჩინაძე მიწა
- რობერტ მებრეილი — მებრეილი — გონიერება
- ნოდარ ფულეისკირი — ნაწილები რომანიდან „აფთარი“
- შალვა სვანი — გზები, სიხლენი, პროზა...
- გივი გოშაძე — რა ხდება ჩინეთის ეკონომიკაში?
- გივი ბაგრატიანი — კასპაროვი-პარკოვი 100 პარტიის შემდეგ
- ზორბა ამირანაშვილი — კროსკორდის ისტორია

საქართველოს კავშირის გამომცემლობა


© „დროშა“, 1987 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭალაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვიტაძე, ნათელა ბიროგოზიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ლურჯიანი, ვახტანგ მსხვერვიძა, ვასილ გვიტაძე, დინარა ნოდარა (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარაქიანი, შაჰ ჯაფარიძე.



ტიბაანის სამეურნეობათაშორისო მეცხვარეობის საწარმო ერთ-ერთი მოწინავეა ხილნადის რაიონში. აქ წარმატებით წყდება მეცხოველეობის პრობლემები: ცხვრის სულადობა უოველწლიურად იზრდება. დღეს 20 ათას სულს შეადგენს. წელს უოველ ას ნერბზე ტიბაანელებმა 93. ბატკანი მიიღეს, ჩამოპარსეს 42 ტონა მატყლი. ადგილობრივმა საკვებმომპოვებლებმა დაამზადეს 1100 ტონა თივა, 50 ტონა ხენაუი, 300 ტონა ნამჭა, 500 ტონა ბალახის ფხვნილი.

მეურნეობაში ვენახებს ას ჰექტარზე მეტი უკავია, აქედან 36 ჰექტარი სრულმოსავლიანია. მართალია, უურძნის წარმოება შემოსავლის მთავარი წყარო არ არის, მაგრამ ამ უზნის ბედი ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ აღეკვებდა საწარმოს ხელმძღვანელებს.

ჩვენი საზრუნავი კოლმეურნეებს გაუფიარეთ, — თქვა მეურნეობის დირექტორმა ჯემალ ხატიაშვილმა, — იმავე დღეს ჩვენთან მოვიდა მევენახე ქიტესა დემეტრაშვილი, რომელსაც მანამდეც კარგად ვიცნობდით. ჩემს ოჯახს 136 ჰექტარი გამოუყავითო — თქვა მან. უოველ ჰექტარზე სულ ცოტა 130 ცენტნერ უურძენს მოვიწვევთ.

მოვეთათბირეთ მთავარ ზოტექნიკოს ვასილ ალადაშვილსა და მთავარ აგრონომს, პარტკომის მდივანს ალბერტ ხუცურაულს. ჩვენი ურთიერთობა ხელშეკრულებით განვამტკიცეთ, რომელშიც ზუსტად იყო განსაზღვრული მხარეთა ვალდებულებები.

ასე შეიქმნა ტიბაანში ოჯახური იჯარის ბრიგადა. დიდ ვენახში საქმე ყველასთვის მოიძებნა. ქიტესას ეხმარებიან მეუღლე, სამი შვილი და ლუხუმ ალადაშვილი — მეზობელი. გამოუყვეს მათ ორი ტრაქტორი — ერთი „ბოლგარის“ მარკისა, ხოლო მეორე — „ტ-40“, თავისი კიდული იარაღებით.

გავიდა წელი, შეაჯამეს შედეგები. წარმატება დიდი იყო. ოჯახურმა ბრიგადამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 230 ტონის ნაცვლად მიიღო 508 ტონა უურძენი, საშუალო 141 ცენტნერი ჰექტარზე, გამოიმუშავა 74 ათასი მანეთი.

წელს დემეტრაშვილმა და მისმა თანაშემწეებმა ვალდებულება იკისრეს, მოიწიონ 600 ტონა უურძენი. ეს კი გეგმით გათვალისწინებულზე ერთი-ორად მეტია. ამიტომ შრომობენ ასე დაძაბულად ამ დღეებში მევენახეები: წამლავენ ვაზს ბორდოს ხსნარით. ამუშავენ მწკრივთაშორისებს. ოჯახური იჯარით მომუშავე ბრიგადა მოქმედებს.

ბ. დიორტაძე.

სურსთმგზა: 1. მთელი ბრიგადა ერთად.

2. ქიტესა დემეტრაშვილი და მისი მეუღლე ლინა შინ ბრუნდებიან ზვრებიდან.

3. დაძაბული შრომითი დღის შემდეგ სასიამოვნოა ოჯახურ წრეში დასვენება.

4. ოჯახური იჯარის ბრიგადის ხელმძღვანელი ქიტესა დემეტრაშვილი.

5. ჩინებულად აითვისა ტრაქტორზე მუშაობა ზაურ დემეტრაშვილი.

6. მიმდინარეობს ვაზის შეწამვლა.

7. ტიბაანის სამეურნეობათაშორისო მეცხვარეობის საწარმოს დირექტორი ჯემალ ხატიაშვილი (მარცხნივ) და ქიტესა დემეტრაშვილი ათვალეობენ ვენახებს.

ი. დავითაშვილი და შ. აბივახვიძის ფოტო.



საქართველოს  
კავშირის გამომცემლობა



● „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის მეწინავე ხაზი მეცნიერებაზე გადის, — ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა 1985 წლის 11 ივნისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე. — მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა ორგანულად უნდა დაფუძვნიროთ სამეურნეო ანგარიშს, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულირების გაძლიერებას. ჩვენ გვჭირდება მექანიზმი, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს უპირატესობებს შრომითი კოლექტივებისათვის, წარმატებებს რომ აღწევინებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. ჩვენ გვჭირდება მექანიზმი, რომელიც არახელსაყრელს გახდის მოძველებული და არაეფექტიანი პროდუქციის გამოშვებას“.

დღეისათვის მართვის პროცესების სრულყოფის ერთ-ერთ უახლეს ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ყველა რანგის მართვის ადმინისტრაციული აპარატის საქმიანობის ავტომატიზაცია ანუ მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა. ამ სისტემების ძირითადი არსია მართვის ადმინისტრაციული აპარატის ერთფეროვანი სამუშაოების დაკისრება ელექტრონული გამოთვლელი მანქანისათვის, რათა ადამიანს დარჩეს გადაწყვეტილების მიღების არაფორმალურად პროცესებთან დაკავშირებული სამუშაო.

გონებრივი შრომის მანქანით შეცვლის იდეას დიდი ხნის ისტორია აქვს და სათავეს იღებს შუა საუკუნეებიდან. მაგრამ ამ ცდებმა ხელშესახები შედეგები მხოლოდ ჩვენი საუკუნის შუახანებში მოგვცა, როცა შეიქმნა სწრაფმოქმედი ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები. ამჟამად მთელ მსოფლიოში უშვებენ სხვადასხვა სახის გამოთვლელ მანქანებსა და სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან დანიშნულებით, შესაძლებლობებით, სიმძლავრითა და არქიტექტურით. მათი კლასიფიკაცია ასეთია: მიკროპროცესორები, მიკროკომპიუტერები, მინი ეგმ-ები, საშუალო მწარმოებლური ეგმ-ები, დიდ მწარმოებლური ეგმ-ები, სწრაფმოქმედი გამოთვლითი სისტემები.

კომპიუტერების შექმნამ და დანერგვამ წარმოშვა ძალზე ტევადი და მრავლისმეტყველი ტერმინებიც: „კომპიუტერული რევილუცია“, „კომპიუტერული აზროვნება“, „კომპიუტერული განათლება“, „კომპიუტერის თაობა“, „პერსონალური კომპიუტერები“ და ა. შ. მაგალითად, შეერთებული შტატების საზოგადოებაზე კომპიუტერების გავლენა ისე დიდია, რომ ყურხალმა „თაიმმა“ 1982 წელი „კომპიუტერის წლად“ გამოაცხადა. „საინფორმაციო-გამოთვლითი ქსელი დღეს ისეთივე საჭირო მნიშვნელობას იძენს, როგორც წარსულში წყლისა და რკინიგზის ტრანსპორტის ქსელი“, — მოსწრებულად შენიშნა ერთმა დასავლეთელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და მართლაც, რომ აღარაფერი ვთქვათ წარმოებებზე, მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ოჯახებშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი პერსონალურმა კომპიუტერებმა. მაგალითად, 1982 წელს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაიყიდა 392 ათასი ელექტრონულ-გამოთვლელი მანქანა, იაპონიაში — 435 ათასი, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980 წელს გაიყიდა 724 ათასი პერსონალური კომპიუტერი, ხოლო 1983 წელს — 7 მილიონზე მეტი.

კომპიუტერული რობოტები დღეს უკვე

ასრულებენ დიდი მოცულობის ჭუჭყიან, მძიმე და საშიშ საწარმოო ოპერაციებს და რადგან კომპიუტერული რობოტის გადაპროგრამირება ადვილია, ამიტომ ზოგიერთი სპეციალისტი კოლოსალურ ცვლილებებს უწინასწარმეტყველებს სამრეწველო ტექნოლოგიას.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 1986 წლის 1 იანვრისათვის დანერგილი იყო 82 მართვის ავტომატიზებული სისტემა და 408 გამოთვლითი კომპლექსი. ამჟამად მოქმედ მართვის ავტომატიზებულ სისტემათა შექმნასა და დანერგვაზე დაიხარჯა 140 მილიონ მანეთზე მეტი. მას-ის ექსპლუატაციის წყალობით პირობითად გამოთვლისუფლდა 700-მდე კაცის შრომა. მოგების ზრდამ შეადგინა 15,4 მილიონი მანეთი.

ქმნილმა მას-ის განყოფილებამ (უფროსი — ს. არაბოვი, მოადგილეები — ვ. მიქაუტაძე და ა. ვაჩაძე).

„ელექტროაპარატი“ შექმნილი განყოფილების სამსახურს კონკრეტული ამოცანა გააჩნია: გაერთიანების ხელმძღვანელობა და მმართველი პერსონალი უზრუნველყოს ოპერატიული და უტყუარი ინფორმაციით, რომელიც ამ ვეება საწარმოს სხვადასხვა უბანს ეხება — წარმოებას, მომარაგებას, ვასალებას, შრომასა და მასალათა ხარჯვას, ტექნიკურ კონტროლს, ხარისხს, კადრების მოძრაობასა და ა. შ.

რა მისცა გაერთიანებას მას-ის დანერგვამ?

1. შემცირდა მრავალრიცხოვან გამოთვლებთან დაკავშირებული, ადამიანზე დაკისრებული ერთფეროვანი სამუშაოების



მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

# კომპიუტერის უკუჩხვი

რესპუბლიკის ელექტრონულ-გამოთვლელი მანქანების პარკის კრებსით სიმძლავრეზე მეტყველებს შემდეგი ციფრიც: ამ მანქანებით შესაძლებელი გახდა წამში 41 მილიონი ოპერაციის განხორციელება! დამტკიცდა, რომ გამოთვლითი კომპლექსების ექვეფტიანად გამოყენების ერთ-ერთი კრიტერიუმია ეგმ-ების ნორმატიული დატვირთვა. ამ მხრივ რესპუბლიკის საწარმოთაგან გამოთვლითი კომპლექსების სრული გამოყენებით გამოირჩევა და სანიმუშო შედეგებს აღწევს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“ (დირექტორი გ. ზონრიშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. თალაკვაძე). გაერთიანება დაბალია ძაბვის სხვადასხვა ასორტიმენტის აპარატურას და დიდი რაოდენობით ფართო მონხარების საქონელს უშვებს. შარშან წარმოების მოცულობის წლიური გეგმა 71 მილიონ მანეთს შეადგენდა, მიმდინარე წელს კი ეს ციფრი 77,5 მილიონამდე გაიზარდა. რაშია წარმატების საიდუმლო? აქ ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა 1977 წელს ამ გაერთიანებაში შე-


ხვედრითი წილი და, დაახლოებით, ორნახევარჯერ შემცირდა მართვის აპარატი. ესე ვი, შემცირდა აგრეთვე არამწარმოებლურ სფეროში გამოყენებული შრომითი რესურსების რაოდენობაც.

2. გაერთიანების ხელმძღვანელსა თუ უშუალოდ წარმოების მართვის პერსონალს შესაძლებლობა მიეცა, უფრო მეტი დრო დაუთმოს მართვის სხვადასხვა სტრატეგიასა და დეტალების ანალიზს.

3. მეკეთრად გაუმჯობესდა მართვის სტრუქტურა. ამდღდა წარმოების კულტურა, მართვის აპარატის მუშაობის რიტმულობა და ხარისხი.

4. ამდღდა მართვის ოპერატიულობა, ვინაიდან თანამედროვე ელექტრონულ-გამოთვლელ მანქანებს გააჩნიათ სწრაფმოქმედების უნარი, (200 ათასიდან 1 მილიონამდე და მეტი ოპერაცია წამში), ამიტომაც საშუალებას იძლევიან, ეფექტურად გადაწყვიტონ დიდი განზომილებებისა და სირთულის მრავალი ამოცანა.

ჯემალ მხსრიშვილი



მუშაობდა, შემდეგ — „კონკის“ კონდუქტორის ადგილი იშოვნა. დაუკავშირდა ქართველ მუშა-რევოლუციონერებს, იმ-ხანად უკვე მრავლად რომ მუშაობდნენ ბაქოს ხავთობის სარეწებზე და მალე სიმონი ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტიც გახდა.

სიმონზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 1903 წლის ივნისის რევოლუციურმა გამოსვლებმა. იმავე წელს ბაქოს ორგანიზაციიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგებში მიიღეს, ბაქოს კომიტეტის წევრად აირჩიეს. ეწეოდა ორგანიზატორულ-პროპაგანდისტულ საქმიანობას წვრილი სახელოსნოების მუშათა შორის, აგრეთვე, კასპიის ფლოტის მეზღვაურებსა და ოფიცრებშიც, ამარაგებდა პროკლამაციებით, სხვა არა-ლეგალური ლიტერატურით, აწყობდა კრებებს და იწვევდა გამოჩენილ პროპაგან-

გეთაყვა, თუ რაიმე მისამართი დაგიტოვებდნენ კოგანმა, მაცნობე. მომწერე წერილები... თუ რას ნიშნავს ალიოშა ჯაფარიძის მხრიდან ეს სიმონ ჟღერის... მიპატივებო! სიმონის უსტიუგში, ამას მოწმობს შემდგომში პოლიციის მიერ ს. ჟღენტის ჩხრეკისას ჩამორთმეული პარტიის საპროგრამო დოკუმენტები: „რსდმპ პრაღის კონფერენციის შესახებ“ (12 ფურცელი), „პრაღის“ ახალი ნომრები; ცნობა თებერვლის თათბირის შესახებ — 21 ფურცელი; ხელნაწერების ორი რვეული; ჟურნალი „პროვსემჩენიე“... როგორც პოლიციის აგენტურის ცნობიდან ჩანს, ეს დოკუმენტები და მასალები ალ. ჯაფარიძეს გადაუცია ს. ჟღენტისათვის დაწინაურებისამებრ გასაგზავნად.

1911 წლის 4 ივლისს ვოლოგდის გუბერნატორი ბაქოს ქალაქისთავს ატყობინებდა: ადმინისტრაციული წესით გასახ-

# „კონკის კონდუქტორი“

30-იან წლებში დაწერილ ერთ ავტობიოგრაფიაში, რომელიც ამჟამად მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიულ არქივშია დაცული, სიმონ დიმიტრის ძე ჟღენტი აღნიშნავდა: ბაქოს პარტიულ ორგანიზაციაში თითქმის ოცი წლის მუშაობის მანძილზე ახლო ურთიერთობა მქონდა ამიერკავკასიაში მოღვაწე ცნობილ რევოლუციონერ-ლენინელებთან — ალიოშა ჯაფარიძესთან და სიღვა თოდრიასთან, ვანია ფილტოვთან და ზოგ-დან კონუნთან, სურენ (ტიმოთე) სპანდარიანთან და მეშადი აზიზბეკოვთან, ანასტას მიქოიანთან და ვანო სტურუასთან, სერგო ალილუევთან და სტეფანე შაუმიანთან, გიორგი რთველაძესთან და გიორგი სტურუასთან, სტეფანე გარიშვილთან და აშოტ ზუმარინთან, დაშტალ რუბენთან და კუსსა გადინ კასუმოვთან, აბელ ენუქიძესთან და კობა სტალინთან, სერგო ორჯონიკიძესთან და ნიკოლოზ სოლოვიოვთან, რაისა აკინშვიჩთან და სხვებთან.

ვინ იყო სიმონ ჟღენტი? ჰქონდა თუ არა იმის უფლება, რომ რევოლუციის ასეთ გამოჩენილ რაინდთა მეგობრად და თანამოღვაწედ გამოეცხადებინა თავი?

სიმონ ჟღენტი 1880 წელს დაიბადა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ბასილეთში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. ოზურგეთის მესამე საქალაქო სასწავლებელში სწავლისას ყმაწვილის გონება ძალუმად გაიტაცა სოციალ-დემოკრატიულმა იდეებმა, რაც შეუშინეველი არ დარჩენიათ ადგილობრივ ხელისუფალთ. მკაცრი მეთვალყურეობა დაუწყეს და გამუდმებით დაეძებნენ მიზეზს დაპატიმრებისათვის. ასეთ პირობებში სიმონმა მანც დამახერხა აღნიშნული სასწავლებლის დამთავრება... 1899 წლის დეკემბერში კი იძულებული გახდა, მიეტოვებინა სამშობლო და ბაქოში გამგზავრებულიყო, რათა შრომით მოპოვებული სახსრებით მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ხელმოკლე ოჯახისთვის (რვა და-ძმა ჰყავდა). არც ისე იოლი აღმოჩნდა სამუშაოს შოვნა უცხო ქალაქში. ჯერ მესარდაფედ

დისტებს. სიცოცხლის რისკის ფასად არ-ერთხელ შეუსრულებია ბაქოს კომიტეტის დავალებები. 1905 წლის დასაწყისში სიმონ ჟღენტი ბაქოს საქალაქო რაიონული ორგანიზაციის ორგანიზატორის თანაშემწე იყო. ავეისტო-სექტემბრის მოვლენების დროს აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების წინა დღეებში მან, სხვა ამხანაგებთან ერთად, მოახერხა პატიმრობიდან გაენთავისუფლებინა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. ლი-აღოვა და შავრახმელია მიერ დარბეული ბაქოს პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ალ. ჯაფარიძე, როცა ისინი ეტაპით უნდა გაეგზავნათ ქ. ყარსში — ციხის ზედამხედველის მოსყიდვის შედეგად ეტაპით მიმავალთ უკვე სხვები გააყვალეს.

...1908 წლის 15 მარტს ბაქოში სოციალ-დემოკრატიის სარაიონთაშორისო კონფერენციის ჩატარებისას დააპატიმრეს, ჩასვეს ბაქოს ციხეში, ხოლო იმავე წლის 8 ივლისს, „როგორც რსდმპ წევრი და პოლიტიკურად საშიში პიროვნება“, პოლიციის ზედამხედველობით სამი წლის ვადით გაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში. აქაც არ წყვეტს რევოლუციურ საქმიანობას, ვ. ფილტოვთან და სხვა ბოლშევიკ-ლენინელებთან ერთად ამყარებს კავშირს ბაქოს კომიტეტთან, იმავე გუბერნიაში გადასახლებულ სხვა ბოლშევიკებთან, მათ შორის — დონის როსტოვიდან ქალაქ ველიკო უსტიუგში გადასახლებულ ალ. ჯაფარიძესთან.

საინტერესოა ერთი წერილი, რომელიც ალ. ჯაფარიძეს იმ ხანებში გაუგზავნია სიმონ ჟღენტისათვის:

„ძმო სიმონ! ძმური სალამი ჩემგან, თავს გიხრან ვარო და ლუცია. როგორც ჩანს, არ მიგიღია ჩემი წერილი... ძალიან მაწუხებს შენი ავადმყოფობა. მისმინე, რა ხდება შენს თავს? ძალიან ეწუხვარ, რომ აქ არა ხარ, მაშინ შენ თვითონ შეძლებდი მიგეხვებოდასაკუთარი თავისთვის. არ ვიცი, რა ვიჩიო. აქ რომ იყო, ჩემთვისაც ძალიან კარგი იქნებოდა. ვირჩევდი აქ ჩამოსვლას, მე თვითონ რომ არ ვაპირებდე აქედან გაფრენას (იგულისხმება გადასახლებიდან გაქცევა); მინდა... ოღონდ არა მაქვს არც ერთი მისამართი და არ ვიცი, როგორ მოვიქცე-

ლებული ს. ჟღენტი ვადის გასვლის გამო განთავისუფლებულია და ქალაქ ნიკოლსკიდან ბაქოში მოემგზავრებათ.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ს. ჟღენტმა ისევ გააგრძელა რევოლუციური საქმიანობა სტეფანე შაუმიანთან, სლავა კასპაროვთან, ტიმოთე სპანდარიანთან, აბელ ენუქიძესთან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან ახლადდაბრუნებულ ს. ორჯონიკიძესთან მხარდამხარ, ერთ-ერთი თათბირის დროს, სხვა ბაქოელ ბოლშევიკებთან ერთად კვლავ დააპატიმრეს და დაუყოვნებლივ გაასახლეს როსტოვში. აქ სიმონმა სხვა რევოლუციონერებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების აღდგენა-განმტკიცებაში. ჟანდარმერიის სამმართველომ 1912 წლის 29-30 აპრილს მოაწყო მასობრივი დაპატიმრებები. ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელი აქტივი, მათ შორის ს. ჟღენტი და მისი უახლოესი თანამებრძოლებიც, დააპატიმრეს. ისევ ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლეს, სადაც სამი წელი ცხოვრობდა და იბრძოდა უძძიმეს პირობებში.

პატიმრობის ვადის დამთავრებისთანავე, ს. ჟღენტი ისევ ბაქოში ბრუნდება... ისევ რევოლუციური მუშაობა. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ მას ბაქოს კომიტეტის წევრად ირჩევენ. იგი იყო საბჭოების პირველი და მეორე მოწვევის ამბასკომის წევრი. 1918 წლის ზაფხულში იბრძოდა კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ შემახის ფრონტზე. „ბაქოს კომუნის“ პერიოდში ეკავა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის პოსტი. „კომუნის“ დაცემის შემდეგ ს. ჟღენტიც ხელთ იგდეს, მაგრამ შემთხვევით გადაურჩა 26 ბაქოელი კომისრის ბელს — ვერ იცნეს და ასტრახანში გადასახლეს. აქ სიმონი დაუყოვნებლივ შეიყვანეს რკპ(ბ) ასტრახანის კომიტეტის შემადგენლობაში, ხოლო იმავე წლის ბოლოს მოსკოვში მიავლინეს. მან მუშაობა დაიწყო სოკოლნიკის რაიონის ადმინისტრაციულ განყოფილებაში. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული დავალებით ს. ჟღენტი სიმფეროპოლში გაგზავნეს, სადაც ორი თვე დაჰყო, ხოლო შემდეგ ისევ პარტიის ცკ-ის დავალებით დაბრუნდა კავკასიაში.

(დასასრული 80-7 გვამრჯე)

იმ პარტიზანული ბრძოლების შემდეგ 43 წელი გავიდა. საფორმოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი ჯარისკაცები კვლავაც მწაობაში არიან.



ქალაქ ვიტებსკის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ჰკიდია საპატიო მოქალაქის, დიდ სამამულო ომში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ვლადიმერ ემანუელის ძე თალაკვაძის ხმალი, როგორც ქართველი კაცის მეომრული შემართების სიმბოლო. იქვეა მისი საბრძოლო დახასიათებაც, რომელსაც ხელს აწერს ბელორუსიაში პარტიზანული მოძრაობის მთავარი შტაბის უფროსი პ. კალინინი.

დახასიათებაში ვკითხულობთ, რომ ამხანაგი თალაკვაძე დაიბადა საქართველოში, მახარაძის რაიონში 1912 წელს. სკპ (ბ) წევრია 1940 წლიდან. მან დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ თვეებში მტრის ზურგში დარჩენილი წითელი არმიის მეომრების ბაზაზე შექმნა პარტიზანული ბრიგადა, რომელიც თავის რიგებში 3000-ზე მეტ მებრძოლს ითვლიდა და თავისი საბრძოლო ძლიერებით მოწინავე იყო ვიტებსკის ოლქში მოქმედ პარტიზანულ ბრიგადებს შორის. პირად შემადგენლობასა და მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა — პარტიზანები მეთაურს გადამწყვეტ იერიშებზე მუდამ უყოყმანოდ მიჰყვებოდნენ.

თალაკვაძემ თავდაპირველად ჯერ პარტიზანული ჯგუფი შექმნა და მტრის ზურგში შეუღდა ფაშისტების განადგურებას. შემდეგ დაუკავშირდა არალეგალურად მომუშავე პარტიულ ორგანიზაციებს, მეზობლად მოქმედ პარტიზანულ ჯგუფებს და სწორედ მათი დახმარებით გაზარდა პარტიზანული რაზმი, რომელიც ბრიგადად აქცია.

თალაკვაძის რაზმს შემოემატნენ, აგრეთვე, მტრის ზურგში დარჩენილი კაპიტანი გრიგოლ აბაშიძე და მხვერავი გრიშა კაველიძე. კარგი მეომრები იყვნენ, მაგრამ ბედმა არ გაუმართლათ — მტერთან ბრძოლებში დაეცნენ.

ერთ დღეს თალაკვაძეს მისმა პარტიზანებმა გრიგოლ ვანტანაძის წერილი მოუტანეს. იგი იტყობინებოდა, სუვოროვის სახელობის პარტიზანული ბრიგადის შემადგენლობაში ვიბრძვიო. განარბული თალაკვაძე სუვოროველთა ბრიგადის მეთაურს ესტუმრა და ვანტანაძე თავის რაზმში წამოიყვანა.

...შალე ალადაშვილმაც მოაღწია თალაკვაძემდე. განარბულმა მეთაურმა თანამემამულეს უთხრა: ახლა ჩვენს ბრიგადაში რამდენიმე ქართველი ვართ და ისე უნდა ვიომოთ, არც ჩვენი მამა-პაპის საბრძოლო ტრადიცია შევარცხვინოთ და არც ჩვენი ქართველობა!

უმალღესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა ბელორუსიაში მოქმედ პარტიზანებს მოუწოდა: „დაეხმარეთ ხალხს, იხსენით ჩაგვრისა და გერმანიაში გარეკვისაგან. ეს არის თქვენი უპირველესი მოვალეობა!“ ამის შესაბამისად ვ. თალაკვაძის პარტიზანები ვიტებსკის ოლქის სიროტინის რაიონის 12 სოფლის მოსახლეობას იცავდნენ მტრის ხელოვნებისაგან.

1943 წლის მარტს ლამის პირველი საათი იქნებოდა, გუშაგებმა თალაკვაძესთან აფორიაქებული ქალი რომ შეიყვანეს.

პარტიზანებთან კი თორმეტი სოფლის მოსახლე იყო შეკედლებული. შირდათ პარტიზანებს, რძე უშვებოდათ ჩვილებს და მათ დებს — პარტიზანებს იმედის სურვილი შეჰყურებდნენ!

შენაერთების მეთაურები სტანიცა უშაჩვი შეიკრიბნენ. დიდხანს ითათბირეს გარემოცვიდან გასვლის შესახებ.

კოროტკინის სახელობის მე-4 პარტიზანული ბრიგადის მეთაურმა ვლადიმერ თალაკვაძემ წინადადება წამოაყენა...

შუალამით დაიწყო პარტიზანთა გარდევვა.

...საცაა გარემოცვის ჯაჭვიც გაწყდება და პარტიზანებიც სამშვიდობოს გავლენ. მაგრამ, აი, მებრძოლთა რიგებში ხმა დაირბა, თალაკვაძე დაიჭრაო. ეს ცნობა ქართველი მეომრების ყურსაც მისწვდა და უმაღლესი განაღებენ მეთაურთან გრიგოლ ვანტანაძემ და შალვა ალადაშვილი.

— ახლა ალერსის დრო არ არის, — მკაცრად უთხრა თალაკვაძემ საშველად მისულ ბიჭებს. — წადით წინ! ალყა შე-

# თალაკვაძის სხვალი

— მეთაურო. გვიშველეთ, დედა-შვილობას!.. დავეხმარეთ. სოფელში ფაშისტები შემოიჭრნენ, ბავშვები წავგართვეს და სიკვდილის ბანაკებში მიიყვანეს.

თალაკვაძემ განგაში გამოაცხადა. პარტიზანებს წინ წაუძღვა და სოფელ ზალუჟნიეს ალყა შემოარტყა სწორედ იმ დროს, როცა ფაშისტები ოჯახებიდან გამოტაცებულ ბავშვებს მანქანებში ყრიდნენ. შურისძიებით ანთებულმა პარტიზანებმა მტრის ასეული განადგურეს და ბავშვები მშობლებს დაუბრუნეს.

ბელორუსიის სამივე და ბალტიისპირეთის ფრონტების ჯარებმა 1944 წლის 23 ივნისს დაიწყეს უმაღლესი მთავარსარდალობის მიერ შემუშავებული, მეტად დიდმნიშვნელოვანი ოპერაცია „ბაგრატიონის“ განხორციელება.

იმდენად მძლავრი იყო წითელი არმიის დარტყმები, რომ მტერი იძულებული გახდა, სწრაფი გადანაცვლებებით დაეხია სათადარიგო პოზიციებისაკენ, მაგრამ მათ იქ უკვე პარტიზანები ელოდნენ. საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი თავის წიგნში იგონებდა: „იმ დღეებში განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ბელორუსიის პარტიზანები. მათ მტრის ზურგში მწყობრიდან გამოჰყავდათ რკინიგზები. მარტო ერთ ღამეს, 1943 წლის 20 ივნისს, 40 000-ზე მეტი რელსი აჰყარეს“.

ფაშისტური გერმანიის ჯარების სარდლობამ გადაწყვიტა, როგორმე თავიდან მოეშორებინა პარტიზანები და საიმედო ზურგი შეექმნა. 70 000 ჯარისკაცი გამოიყვანა. დიდძალი ტანკებით გარემოიცვა პარტიზანული ბრიგადები. ალყა თანდათან ვიწროვდებოდა. პარტიზანები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს, მაგრამ ილეოდა ტყვია-წამალი, სურსათ-სანოვაგე.

გიორგი გოჩიაშვილი.

70  
ოქტომბერი

სუსტებულია, საცაა გაწყდება და თავი არ შეირცხვინოთ. წადით! მე თუ მოგვკვდი, თქვენ მაინც იცოცხლეთ.

— არა, ლადო, — უთხრეს თანამემამულეებმა, — აქ ვერ მიგატოვებთ. თუ სიკვდილი გვიწერია ამაღამ, დე ერთადვე დავიხრცოთ!

ახოვანმა ვაჟკაცმა, ვანტანაძემ ხელი დასტაცა დაჭრილ მეთაურს და მხრებზე მოივლო. ალადაშვილი წინ გაიჭრა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გზა გაიკვლია.

მზე რომ ამოვიდა, პარტიზანები და მათი ხიზნები სამშვიდობოს გასულიყვნენ.

იმ პარტიზანული ბრძოლების შემდეგ 43 წელი გავიდა. სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი ჯარისკაცები კვლავ მწყობრში არიან — პოლპოლკოვნიკი ლადო თალაკვაძე ქ. მახარაძის საყოფაცხოვრებო კომბინატს განაგებს, გრიგოლ ვანტანაძე ქუთაისის ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშაობს, შალვა ალადაშვილი კი სიღნაღის რაიონის წნორის მეცხოველეობის კომპლექსის მუშაია.

ვლადიმერ მიაკოვსკი და ლუდმილა მიაკოვსკაია თავის წიგნში „ვლადიმერ მიაკოვსკის შესახებ“ ერთგან წერს „ჩვენთან ბინაში ამ დროს კვლავ ცხოვრობდა ჩვენი თანამემამულე ისიდორე ივანეს ძე მორჩაძე (ს. ს. ქორიძე), 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მონაწილე, მომქმედი, მამაცი და გაბედული, პოლიტიკატორული ქალების გაქცევის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი“.

მოსკოვში მიაკოვსკების ბინაში ეწყობოდა რევოლუციონერთა შეკრებები. პოეტის დედა და ქალიშვილი კერავდნენ პატარაი ქალების კონსპირაციისა და გაქცევისათვის საჭირო ტანსაცმელს. ქალების გაქცევის შემდეგ თექვსმეტი წლის ვლადიმერ მიაკოვსკი დაუპატიმრებიათ და ბუტირკის ციხეში ჩაუსვამთ, ხოლო სასამართლოს მშობლების პასუხისმგებლობისა და ზედამხედველობის ქვეშ გაუთავისუფლებია.

ლუდმილა მიაკოვსკაიას მოგონებებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენი თანამემამულის ისიდორე მორჩაძის (იგივე ქორიძის) ვინაობა.

როგორც ირკვევა, იგი 1909 წელს ხელმძღვანელობდა ცამეტი პოლიტიკატორული ქალის გაქცევას მოსკოვის ქალთა სააყრობილედან.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოსკოველმა მწერალმა ივანე კიჩაკოვმა ამ თემაზე დაწერა საინტერესო დოკუმენტური მოთხრობა „ცამეტი“. მოთხრობაში ასახულია რუსეთის პირველი რევოლუციის შემდგომი პერიოდი და რევოლუციონერთა გაბედული ბრძოლები მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

# რა ხუდი უნდა?

მოთხრობის მთავარი გმირია ზურაბი (ისიდორე მორჩაძე). წიგნს თანდართული აქვს მისი ფოტოსურათი და სსკპ ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალის დირექტორის მოადგილის ა. პონომარიოვის წინათქმა.

სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით არც წიგნიდან და არც წინათქმიდან არ ხერხდება ისიდორე მორჩაძის ბიოგრაფიის დაზუსტება. მისი სახელი და გვარი არ შეგ-



ქრონოლოგიური ცხრილი

ხვედრია ჩვენთვის ხელმისაწვდომ ისტორიულ ლიტერატურაში.

რა ბედი ეწია მას, გააგრძელა ბრძოლა, თუ გმირულად შესწირა ამ საქმეს თავი?

იქნებ, როგორმე მოხერხდეს ჩვენი თანამემამულის ვინაობის დადგენა. ამით ხომ ჩვენ დიდი რუსი პოეტის კიდევ ერთ ქართველ მეგობარსაც გავიცნობთ და, ერთი საინტერესო ფურცელიც მიემატება ქართველი რევოლუციონერების გმირული ბრძოლის სახელოვან ისტორიას.

რამაზ სურმანიძე.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ს. ჟღენტი მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა. ერთხანს ციხეში ჰყავდათ, შემდეგ კი ბაქოში გაასახლეს. ბაქოში ჩასვლისთანავე იგი შეიყვანეს საბჭოთა აზერბაიჯანის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოს რევკომმა, ს. ჟღენტი რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნა აზერბაიჯანში.

1922 წელს რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის განკარგულებით ს. ჟღენტი გადმოიყვანეს თბილისში და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგედ დანიშნეს. მომდევნო წელს საქართველოს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოსკოვში გადაიყვანა ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილედ, მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო. 1924 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა სამრეწველო ბანკს და სააქციო საზოგადოება „კენაფს“.


სამი რევოლუციის ბარიკადებზე გამოწვრთობილი ბოლშევიკი მისთვის დამახასიათებელი თავდადებით იღვწოდა ყველგან, სადაც კი პარტია მიზანშეწონილად ჩაფიქვნიდა მის ყოფნას. არაერთხელ აურჩევნათ რესპუბლიკის კომპარტიის თუ საბჭოების ყრილობების დელეგატად. იყო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატი.

## გელა საითიქე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიულ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.







აბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელბთან ითქვა:

— ახლა თითქოსდა ხელახლა გავდივართ დემოკრატიის სკოლას.

— ჩვენ ვსწავლობთ.

— ჩვენ ჯერ არ გვყოფნის პოლიტიკური კულტურა, ჩვენი მეგობრის, ამხანაგის თვალსაზრისის პატივისცემის გრძნობაც კი არ გვყოფნის.

და კიდევ:

— ყოველივე ამას, ალბათ, გავივლით. მოვიწიფებით.

მაგრამ, ასეთი მოწიფება, თავისთავად არ ხდება.

დრო გავივლის და მოვიწიფებითო, — ასე არაფერი გამოვა.

დროსაც და ხელსაყრელ ვითარებასაც გონივრული გამოყენება სჭირდება.

პოლიტიკური კულტურის ცნება ახლა ფართოდ გავრცელდა და მოწოდებების გარეშეც უკვე იგრძნობა ასეთი კულტურის ამაღლების აუცილებლობა.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, აქტივი, ფართო საზოგადოებრიობა პოლიტიკური კულტურის მკვეთრად ამაღლების გადაუდებელი საჭიროების წინაშე აღმოჩნდნენ. იგი განაპირობა სოციალისტური დემოკრატიზმის გაღრმავებამ და თვითმმართველობის გაფართოებამ, საერთოდ ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის მიმდინარე პროცესმა, ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერებამ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა რეალური მონაწილეობის უზრუნველყოფამ.

სოციალიზმის სრულყოფის პროცესში პოლიტიკური კულტურის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში, როგორც ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, განსაკუთრებით კი თანამედროვე პირობებში, მართვა არ შეიძლება პროფესიონალთა ვიწრო წრის პრივილეგია იყოს.

— არა მარტო თეორიიდან, არამედ საკუთარი მრავალი წლის პრაქტიკიდან ვიცით, რომ სოციალისტური წყობილება წარმატებით ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა თვით ხალხი რეალურად მართავს თავის საქმეებს, როცა მილიონობით ადამიანი მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ეს არის მშრომელთა თვითმმართველობა მისი ლენინური გაგებით.

საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეების რეალური მართვა კადრების, თითოეული მშრომელის მაღალ პოლიტიკურ კულტურას მოითხოვს. ამის გერეშე შეუძლებელია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაში რეალური მონაწილეობა. პოლიტიკური კულტურის, ესე იგი პოლიტიკური აღზრდისა და განათლების, პოლიტიკური განვითარების გარეშე არ შედგება ადამიანის მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და იგი კვლავ ფორმალური, მოჩვენებითი ხასიათის დარჩება.

პოლიტიკური კულტურა, როგორც ცნება.

ბერძნული „პოლიტიკა“ ქართულად ითარგმნება — სახელმწიფო საქმეები. იგი გულისხმობს იმ მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას, რომლებსაც საზოგადოებრივი კლასები იყენებენ თავიანთი ინტერესების დასაცავად სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მეშვეობით. ამავე დროს, პოლიტიკა გულისხმობს რისამე მისაღწევად მოქმედებას, აგრეთვე სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, მათთან დამოკიდებულებას. მაგრამ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა, ანუ სახელმწიფოს მართვის ფორმების, გზებისა და შინაარსის განსაზღვრა მოითხოვს სათანადო აღზრდას, განათლებას, განვითარებას. ლათინური სიტყვა „კულტურა“ ქართულად დამუშავებას ნიშნავს. კულტურა — საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა შრომა-გარჯილობით შექმნილი ღირებულებაა. ესაა მიღწევები განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნების, აგრეთვე ყოფა-ცხოვრების დარგში. ვამბობთ: მატერიალური და სულიერი კულტურა, შრომის კულტურა, მუსიკალური კულტურა, მიწათმოქმედების კულტურა, ფიზიკური კულტურა, ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურა და ა. შ.

ამგვარად, პოლიტიკური კულტურა საზოგადოების წევრთა პოლიტიკური ცოდნის, შეფასებების, აგრეთვე მოქმედების დონე და ხასიათია. ამავე დროს, იგი გამოხატავს სოციალურ ღირებულებათა, ტრადიციებისა და ნორმების როგორც შინაარსს, ასევე ხასიათს, რომლებიც პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობებს არეგულირებენ. პოლიტიკური კულტურა ისეთი სოციალური მოვლენაა, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების ერთიანობას.

ესე იგი, სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

ასეთი ერთიანობა ადამიანის პოლიტიკური კულტურის უტყუარი საზომია.

მაგრამ ჩვენ დღეს მართლაც არ გვყოფნის პოლიტიკური კულტურა.

ადამიანის პოლიტიკური კულტურის დონე მით უფრო მაღალია, რაც უფრო აქტიურად მონაწილეობს იგი საქვეყნო საქმეების მართვაში და გავლენას ახდენს მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე. ქვეყანა კი საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან, შრომითი კოლექტივიდან იწყება. იგი იქიდან იწყება, სადაც მუშაობ: ქმნი მატერიალურ თუ სულიერ ღირებულებებს, ასწავლი ბავშვებს, მკურნალობ ავადმყოფს, აშენებ სახლს, გადაცავს მგზავრი, იმკი მოსავალს და... მონაწილეობ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სახელმწიფო საქმეების მართვაში.

ამ ადამიანთა შორის უნდა შეარჩიოს მშრომელმა კაცმა ის, ვინც სახალხო დემუტატის რწმუნებით განახორციელებს ხალხის ნება-სურვილს და ხალხისავე სახელით მიიღებს მონაწილეობას საქვეყნო საქმეების მართვაში. პოლიტიკური კულტურაა საჭირო საიმისოდ, რომ ღირსეული დასახელო და წამოაყენო, ღირსეულს მისცე ხმა და მინაც ღირსეულად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა. ამას დაფიქრება სჭირდება, განსჯა, აწონ-დაწონა და ყოველივე ეს სათანადო პოლიტიკურ კულტურას მოითხოვს. პოლიტიკურად განათლებული და განვითარებული კაცი შეძლებს ამის გაკეთებას. ისეთი, რომელიც საქვეყნო საქმეებით არის დაინტერესებული და ამიტომაც აქტიური.

მაგრამ.

ჩვენ ჯერ არ გვყოფნის პოლიტიკური კულტურა.

ამასწინათ ჩატარებული ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს ბევრმა კვლავინდებურად არ იცოდა, ვის მისცა ხმა. ერთი ამომრჩეველი ოჯახის დანარჩენი წევრების, აგრეთვე ამომრჩევლების, მაგივრობას სწევდა, ხოლო ზოგიერთი ამომრჩევლის გამოუცხადებლობის გამო გამოწვეულ ბიულეტენების დანაკლისს თვით საარჩევნო კომისიის წევრები ავსებდნენ და... ძველებურად ისევ 99,99 პროცენტი.

აი, ასე.

პოლიტიკური კულტურის ამაღლება და საბჭოთა მოქალაქის სოციალური აქტივობა ურთიერთდაკავშირებული ურთიერთგანპირობებული პროცესია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგსა და სფეროში იჩენს თავს.

ახლა ამის ფართო შესაძლებლობებს ქმნის შრომითი კოლექტივის თვითმმართველობის გაფართოება, რასაც ითვალისწინებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ.

საწარმოს (გაერთიანების) მართვა და შრომითი კოლექტივის თვითმმართველობა:

— საწარმოში ხორციელდება ხელმძღვანელთა არჩევითობა (როგორც წესი, საკონკურსო საფუძველზე), რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას და საქმიანობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

— შრომითი კოლექტივი, რომელიც სრულყოფილებიანი ბატონ-პატრონია საწარმოში, დამოუკიდებლად წყვეტს საწარმოო და სოციალური განვითარების ყველა საკითხს, განიხილავს და ამტკიცებს საწარმოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერებისა და მოგების (შემოსავლის) გადიდების გზებს.

— საწარმო მოქმედებს სოციალისტური კანონიერების საფუძველზე. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მას ენიჭება ფართო უფლებები, რომელთა დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. საწარმოს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით მიიღოს ყველა გადაწყვეტილება, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მაშასადამე, საჭირო ყოფილა საბჭოთა კანონმდებლობის, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების, აგრეთვე მათი განხორციელების გზებისა და საშუალებების ცოდნა. აუცილებელია ისიც, რომ ასეთი ცოდნის საფუძველზე შეგვეძლოს, კრიტიკულად გავანალიზოთ საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რათა შევიმუშაოთ და წარვადგინოთ წინადადებები მართვის დარგობრივი ორგანოების მუშაობის შესახებ არსებული დეზულებების გადასინჯვის მიზნით. კერძოდ ისეთებისა, რომლებიც ხელს უშლიან და ამუხრუჭებენ გარდაქმნის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესს.



მაშასადამე, საჭირო ყოფილა ეკონომიკური განათლება. იმისათვის, რომ შრომითი კოლექტივის თითოეული წევრი შეგნებულად მონაწილეობდეს საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, აუცილებელია, იგი ერკვეოდეს ძირითად ეკონომიკურ ცნებებსა და კატეგორიებში, რის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელია სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითანაზღაურების პრინციპებით მოქმედება. ეს ეხება საწარმოს საქმიანობის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში, ვაჭრობაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, მომსახურების სფეროსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

და ბოლოს: მაშასადამე, საჭირო ყოფილა ადამიანის — მისი ხასიათის, ნებისყოფის, აგრეთვე სხვა ფსიქოლოგიური თავისებურებების, შეხედულებების, ინტერესების, უნარის, ჩვევების და კიდევ ბევრი სხვა რამის ცოდნა.

აღნიშნულთან ერთად, პოლიტიკური კულტურა მოიცავს საზოგადოებრივი განვითარების კანონების, პოლიტიკური სისტემებისა და შექმნილი ინსტიტუტების საფუძვლების, აგრეთვე მათი ფუნქციონირების ცოდნას.

მაგალითად, იმის ცოდნა, თუ რა გზით წარმართება საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარება და რატომ არის მისი სტრატეგიული გეზი საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფა, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის სულ უფრო სრულად განხორციელება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში მშრომელების, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების აქტიური და ქმედითი მონაწილეობის საფუძველზე. პოლიტიკური კულტურისათვის აუცილებელი ეს ცოდნა დაგვეხმარება იმის განსაზღვრასა და გამოკვეთაში, თუ რა მოეთხოვება ან რა შეუძლია მოიმოქმედოს შრომითი კოლექტივის თითოეულმა წევრმა ისეთი ვითარების დროს, როცა თვითმმართველობის საფუძველზე უზრუნველყოფილია მშრომელთა მეცადინეობის გაერთიანება და ინიციატივის განვითარება თვალსაჩინო შედეგების მიღწევისათვის, მუშაკთათვის ორგანიზებულობისა და დისციპლინის ჩასანერგად, მათი პოლიტიკური შეგნების ასამაღლებლად.

საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური კულტურის ამაღლებისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ამას წინადასრულებულ კანონს „სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ“. კანონი ხელს შეუწყობს ფართო საჯაროების, მშრომელთა განსხვავებული აზრებისა და წინადადებების შეჩერება-გათვალისწინების საფუძველზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობის განვითარებას. სწორედ ასეთი საკანონმდებლო აქტებით განმტკიცებული უფლებების რეალიზება უზრუნველყოფს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ გაღრმავებას, ხალხის თვითმმართველობის განვითარებას, რაც გულისხმობს სსრ კავშირის ყოველი მოქალაქისათვის იმის რეალურ შესაძლებლობათა გაფართოებას, რომ განახორციელოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეები მართვაში, კანონების პროექტებისა და საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათი საწესდებო ამოცანების შესაბამისად სამსჯელოდ გამოტანილი საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი საკითხების განხილვაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება.

ცხადია, ყოველივე ეს პოლიტიკური კულტურის გარკვეულ დონეს მოითხოვს. იგი მოითხოვს კანონით გათვალისწინებული თითოეული მუხლის საფუძვლიან ცოდნას და, მაშასადამე, ნათელ წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ პრაქტიკულად როგორ ხორციელდება სსრ კავშირის მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის საყოველთაო საკითხების განხილვაში მოქალაქეთა მონაწილეობა, როგორია საერთოდ საყოველთაო-სახალხო განხილვის, მისი მიმდინარეობისა და შედეგების, ესე იგი წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინების წესი, ან რა ხასიათს ატარებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მონაწილეობა განხილვის მომზადებასა და მოწყობაში.

საბჭოთა ადამიანის სოციალური აქტივობა მისი პოლიტიკური კულტურის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამ თვალსაზრისითაა ეს ორი ცნება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული. მაგრამ გონივრული პრაქტიკული მოქმედება, ძიებისაკენ ლტოლვა, განსჯის უნარი და აქტიურობა, ცხად-

დია, სათანადო თეორიულ მომზადებასაც მოითხოვს. უნდა იქნეს ყოვლისა ზოგადი, რადგანაც ზოგადი განათლების დონე, რომელიც ჩვენთან საშუალო განათლებით განისაზღვრება და საყოველთაოსთან ერთად, სავალდებულოდაც არის მიჩნეული, არსებითად განაპირობებს პოლიტიკური კულტურის აღზრდის პერსპექტიულ შესაძლებლობათა ეფექტიანობას. ხოლო მთავარი მაინც პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემა. იგი კონკრეტულად წყვეტს ამ კონკრეტულ ამოცანას და პრაქტიკულად ეხმარება პოლიტიკური, აგრეთვე ეკონომიკური განათლების ქსელში გაერთიანებულ მსმენელებს პოლიტიკური კულტურის ამაღლებისათვის საჭირო ცოდნის შეძენაში.

ახლა ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები მოითხოვს ადამიანის შეგნების გარდაქმნას, ახლებურ აზროვნებას, ფსიქოლოგიის შეცვლას.

მაშასადამე, სრულყოფას ითხოვს თვით პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების, საერთოდ განათლების მიღების, ცოდნის დაუფლების პროცესი. პოლიტიკური ცოდნის შეთვისების პროცესის შეცვლილი პირობებისა და ვითარების მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნამ, შედეგად უნდა მოგვეცეს საზოგადოების წევრთა პრაქტიკული მოქმედების გარდაქმნა, მათ მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებისა და მოვლენების ახლებური ხედვა და სოციალურ ღირებულებებისადმი აგრეთვე ახლებური საზომით მიდგომის უნარის გამომუშავება. ამ შემთხვევაში მიიღება პოლიტიკური აზროვნებისა და პოლიტიკური მოქმედების ისეთი შენაერთი, რომელიც პოლიტიკური კულტურის თანამედროვე დონის შესატყვისი იქნება.

პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობათა რეგულირება ფიქრს, მსჯელობას, განსჯას მოითხოვს. დამოუკიდებელი აზროვნება და მოქმედება გონების ასეთსავე დამოუკიდებლობას მოითხოვს პოლიტიკური, ეკონომიკური და ა. შ. ცოდნის შეთვისების პროცესში, რომელიც უნდა ემყარებოდეს აზრის თავისუფალ გამოთქმას, სხვადასხვა მოსაზრებისა და თვალსაზრისის შეჯერებას, პაექრობას, კამათს, დისკუსიას, დიალოგს და არა მხოლოდგან, აგრეთვე შესასწავლი მასალის, განსახილველი თემისა თუ საკითხისადმი კრიტიკული, ანალიტიკური დამოკიდებულების გაბედულ გამოვლენას.

საკუთარი აზრის ორიოდ სიტყვით გადმოცემის ნაცვლად სხვისი დაწერილის წაყითხვა და თავისად გასაღება პოლიტიკური კულტურის უქონლობის მაჩვენებელია. სიტყვაში, მოხსენებაში და ა. შ. გამოსვლის ჩვევებს უკვე სკოლაში ეყრება საფუძველი და შრომითი კოლექტივის საზოგადოებრივი ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა აძლევს ბიძგს მის შემდგომ განვითარებას. ამიტომ სტოვებს დამაღონებელ შთაბეჭდილებას ე. წ. „პიონერთა მისაღმება“, როცა ნორჩი ლენინელები უფროსების წინაშე გამოყავთ და სცენიდან სხვისი სიტყვებით ალაპარაკებენ, სხვისი აზრის საკუთრად გასაღებას აჩვენებენ და მოწონების ნიშნად ტაშითაც ავილოებენ. ნუ ვიხამთ ამას. არამც თუ პოლიტიკური, საერთოდ უკულტურობაა ეს.

დანახვა და დროულად შეფასება ყოველივე იმისა, თუნდაც მცირედისა, რაც პოზიტიური ხდება დღეს ჩვენს ცხოვრებაში: მოძრაობა, დაჩქარება, გარდაქმნა და რეალური შედეგები. უნდა დავძლიოთ მოღუწება, აზრის ინერტულობა, ძველისადმი მიდრეკილება და გახევება. უკუვაგდოთ ყოველივე, რაც ბორკავს პიროვნებასაც და კოლექტივსაც.

- მეტი სოციალიზმი!
- სიტყვისა და საქმის ერთიანობა!
- ბრძოლა სოციალური სამართლიანობისათვის!

პოლიტიკური კულტურის მქონე ადამიანის თვისებებია ეს.

მაღალი ზნეობის მატარებელი იქნება ის ამავე დროს. უთუოდ იქნება, რამეთუ პოლიტიკური კულტურა მოითხოვს მოსმენის, სხვისი აზრის პატივისცემისა და ანგარიშის გაწევის, აგრეთვე საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებისა და მათი დასაბუთებული დაცვის უნარს. პატიოსნება და პრინციპულობა ზნეობრივი კატეგორიებია. ისინი პირდაპირ მიმართებაშია პოლიტიკური კულტურისათან. კადრების, კერძოდ ხელმძღვანელი მუშაკების პოლიტიკური კულტურის მუდმივი ზრდის ქმედითი საშუალებაა მშრომელთა წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლა. ხალხთან ურთიერთობა, შეხვედრები, ამხანაგური ურთიერთობები. კაცს უნდა გქონდეს ასეთი ურთიერთობის მორალური უფლება: ხალხი წმინდაა და პატიოსანი. გარდაქმნის ფორმულა: მეტი სოციალიზმი პოლიტიკური კულტურის ამაღლებისაკენ მოგვიწოდებს.

# РУССКОЕ СЛОВО

III

КЛАССНОЕ РУКОВОДСТВО КЪ РУССКОМУ ЯЗЫКУ  
ДЛЯ ГРУЗИНСКИХ ШКОЛЪ.

Составилъ

Аковъ Тогбашвили.



ГОДЪ ПЕРВЫЙ, ВТОРОЙ И ТРЕТІЙ.

Издание Кавказской Книжной Торговли.

Тифлисъ, 1887.

Типографія Е. И. Хелдзае.

Печатается въ типографіи издательства по русскому языку, № 80 мѡт.

# 100 წელი მისი სამსახურში



სი წელი შეუსრულდა დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის აღიარებულ რუსული ენის სახელმძღვანელოს ქართველთათვის — „რუსკოე სლოვო“-ს. ამ სახელმძღვანელომ აღზარდა ქართველი ახალგაზრდობის თაობები. ამასთანავე მას დღესაც არ დაუკარგავს როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული ღირებულება.

პირველი ოფიციალური ცნობა ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“-ს შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1887 წლის 25 მაისს.

გადიოდა წლები და რუსული ენის დაუფლების საქმეში სულ უფრო დიდ ავტორიტეტს იხვეჭდა „რუსკოე სლოვო“. იგი იქცა სტაბილურ სახელმძღვანელოდ საქართველოს ქართველთათვის სკოლებში მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის სკოლებში „რუსკოე სლოვო“-ს გარდა ოფიციალურად სხვა ავტორთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებიც იყო რეკომენდებული.

ადგილობრივმა და ცენტრალურმა ოფიციალურმა პედაგოგებმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა მას. უჭრნალი „ფილოლოგიური ბიბლიოთეკა“ (მოსკოვი) წერდა: „იშვიათად შეხვდებით არარუსთათვის შედგენილ რუსული ენის მრავალ სახელმძღვანელოთა შორის, ისე ნიჭიერად შედგენილ სახელმძღვანელოს, როგორც განლაგებ ბატონი გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“...“

იმით, რომ იგი აგებული და შედგენილი იყო მაღალმეთოდურად, სასწავლო მასალის გონივრული შერჩევით და გააჩნდა მრავალი პედაგოგიური ღირსება.

„რუსკოე სლოვო“-მ გზა გაიკვლია რუსეთის სხვადასხვა ეროვნულ სკოლებში. კერძოდ, მას ფართოდ ვაუდეს კარი ჩრდილო ოსეთის სკოლებში. სახელმძღვანელოს სპეციალური სტატია უძღვნა გამოჩენილმა ოსმა პედაგოგმა ხ. ურუშიაგოვმა და თერგის სასწავლო ოლქის საერო სკოლების დირექტორმა ა. გრუშევსკიმ.

სასულიერო მთავრობაც შეიქმნა იძულებული, „რუსკოე სლოვო“ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში დაემტკიცებინა სახელმძღვანელოდ.

„რუსკოე სლოვო“-ს ასწავლიდნენ განჯის აზერბაიჯანულ, ჩუვაშურ და ბაშკირულ სკოლებში. ამ სახელმძღვანელოსა და მის ავტორს მაღალი შეფასება მისცა ჩუვაში ხალხის განმანათლებელმა, ცნობილმა პედაგოგმა ი. იაკოვლევიმ.

ფართოდ განმარდა „რუსკოე სლოვო“-ს მაღალი პედაგოგიური ღირსების ცნობა მთელი რუსეთის იმპერიაში.

„რუსკოე სლოვოს“ სისტემატურად იწერდნენ მოსკოვის, ყაზანის, პეტერბურგის, ჩრდილო კავკასიის მაღაზიები.

„რუსკოე სლოვო“-მ ასეთი სახელი და დიდება რევოლუციამდელი რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში მოიპოვა

სახელმძღვანელოში შეიტანა მოსწავლის გარშემო არსებული ყოფა-ცხოვრების რეალური ბუნებრივი და პრაქტიკული აღწერა.

ჩვენს მიერ არჩეული მეთოდი, — წერს გოგებაშვილი, — ავალდებულებს მასწავლებელს ყოველი გაკვეთილი დასაწყისში შესთავაზოს ბავშვებს ცოცხალი საუბრით თვალსაჩინოების საფუძველზე და მის შემდეგ გაიმეოროს წიგნის მიხედვით, რითაც საფუძველი ეცვლება მასალის მექანიკურად დასწავლას.

ჩვენ საჭიროდ ვთვლით, აგრეთვე დავუმატოთ „რუსკოე სლოვო“-ს შედგენის გოგებაშვილისეულ პრინციპებს ის ძირითადი და ცხოველმყოფელი პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც სასკოლო სახელმძღვანელომ მთელ საუკუნეს გაუძლო. ი. გოგებაშვილმა „რუსკოე სლოვო“-ს მასალა ისე განლაგა, რომ შესასწავლი სიტყვები და ფრაზები სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილში რვა-ათჯერ მეორდება. ამით მასალის ბეჯითად შესწავლა მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი. გრამატიკული მოვლენები სწავლების პირველ ეტაპზე ლექსიკურად, ტერმინებისა და თეორიის გარეშე ეძლევა მოსწავლეს, შემ-

დეგ კი თანდათანობით ქართული ენის გრამატიკის მოვლენებთან მსგავსება-განსხვავების კვალობაზე განემარტება. სახელმძღვანელოს წინა განყოფილებებში ლექსიკის მკვეთრი რეგლამენტაციის მიზნით, შეტანილია ხელოვნური ტექსტები.

ამან ხელი შეუწყო ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ზომიერ განმეორებას, აგრეთვე შესასწავლი სიტყვებისა და ფრაზების რაოდენობის შემცირებას. და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც „რუსკოე სლოვო“-ს ასე გაუთქვა სახელი, მისი შედგენის ცოცხალი მეტყველების პრინციპია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“-მ მეორე სიცოცხლე შეიძინა. იგი დღესაც ემსახურება ქართული საბჭოთა სკოლის წინაშე დასმული ამოცანების დასრულებას.

**პარლო მავარაშვილი,**  
პროფესორი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის საპედაგოგიკო-მეთოდოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე საპედაგოგიკო ნაწილში.

# მარქუნალი შინა

არნოლდ გეგეპორი

ამობლო მიწაცაა და წყალიც, მაგრამ ადამიანის საარსებო გარემო, სადაც იგი თავის საცხოვრებელს უყრის ბალავარს, აღმართავს დედაბოს, მოიწევს ძირითად სარჩო-საბადებელს, მაინც მიწაა.

როგორც ცნობილია, წყალს პლანეტის უმეტესი ნაწილი — ორი მესამედი უკავია, დანარჩენი ხმელეთია. ხმელეთზეც განა ყველგან ეცხოვრება ადამიანი? განა ყველგანაა ნაყოფიერი მიწა? ქვიშისა და ყინულის უდაბნოებში, ჭაობებში, გაუვალ ტყეებში დასახლება ხომ ძალზე ძნელია, შეუძლებელიც კია.

ერთი სიტყვით, ადამიანი იქ იკიდებს ფეხს, სადაც შეიძლება თავისი კეთილდღეობისათვის უწინარესი რამ — არსობის პურის მოწევა.

როგორია ადამიანის დამოკიდებულება მარჩენალ მიწასთან?

აქ გვასწავნებდა ძველი გადმოცემა: თურმე, საბერძნეთში ახალშობილ ბავშვს აწვენიდნენ მოხუც მიწაში. სჯეროდათ, რომ მიწა ბავშვს მისცემდა მეტ ღონესა და ძალას.

ამაში არის ღრმა აზრი, არის ის, რაც ასე აუცილებელია სიცოცხლისათვის. ჩვენ კი, ადამიანები, მას ზოგჯერ გულგრილად ვეპყრობით.

მაშ, რატომაა, ერთგან რომ ანაყოფიერებენ გამოფიტულ ნიადაგს, სხვაგან პირდაპირ ბარბაროსულად ექცევიან, ეროზორებულ მასად აქცევენ ხოლმე მას.

მოსახლეობა განუხრებლად იზრდება. ტექნიკური ცივილიზაციის არნახული პროგრესიც თავის სიტყვას ამბობს და აი, ნებით თუ უნებლიეთ, კაცობრიობა იძულებული გახდა, მოწყალეების თვლით გადაეხედა თავისი მარჩენალისათვის. მიუხედავად ამისა, ეროზიასა და ამის მსგავს სხვა ბუნებრივ პროცესებს, ყოველწლიურად მაინც მიაქვს ასეთულ ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა.

...მიწით, უწინარესად, მთიანი აჭარაა ღარიბი. აჭარაში საქართველოს ამ ძველსა და ულამაზეს კუთხეში, ერთ-ერთი დიდი და მრავალსოფლიანი ხეობაა უჩამბა. ეს ხეობა მდიდარია ღვინე-წყაროებითა და ტყით. წიფლნარები ღომას მთას სუბალპურ სარტყლამდე მიჰყვებიან. ტყის არც ერთი სხვა ტიპი არ ასახავს სეზონურ ცვლილებებს ისე სინქრონულად, როგორც ზომიერი სარტყლის წიფლნარის მსგავსი ზაფხულმწვანე ტყეები.

ზაფხულის გავლას მნიშვნელოვნად ახუნებს აქ გაზაფხულის ხასხასა, ცოცხალ ფერებს. ტყეში ამ დროს ბევრი რუ-ნაკადულიც შრება. ფრინველები ღუმდებიან. შემოდგომა ხელახლა უბრუნებს ტყის ამ მასივებს განუმეორებელ იერს. წითლის და ძოწის, ოქროსა და ნარინჯის კოცონში იძირება ზამთრის წინ მთვლენარე ტყეთა ვეებერთელა სივრცეები. შემდეგ ქარი და სიცივე დაუნდობლად ძარცვავს ხეთა მთელ ამ სიმდიდრეს და ერთხანს ნიადაგსაც დალიანდაგებს ზღაპრული ხალიჩით.

მუქწიწვოვანი ტყეები გალაქიტის ფერიდან თანდათანობით მუქ ლილისფერში გადადიან. მდიდარია ქვეტყე. განსაკუთრებით მშვენიერია აქაურობა ივნისში, შქერის მასობრივი ყვავილობისას.

სოსნისფრად ღლიან მთათა ფერდობები. მდინარე გულდნის ღელე ლალად მიედინება. თვალს ახარებს მისი ტყით დაფარული სანაპიროები. ალაგ-ალაგ ხიდებს ნაჯახით გარანდული და დაკბილული მორები

ცვლიან. ტყისპირა პატარა მდინარეებზე წისქვილები შემოსკუპულან. მთის ღელით დატრიალებული წიქვილის ქვისა და სარეკელას მონოტონური ხმაური მუსიკის ჰანგებზეთ ესაღბუნება სმენას. ხმაურობენ წყალვარდნილებიც, მოწანწკარებენ ახლად დაბადებული წყაროები.

კოლხური ბუნების მყუდროებას განსაკუთრებით არღვევს ზაფხულის დასაწყისისათვის ესოდენ ხშირი ჭექა-ქუხილი. თავისებური, სხვებისაგან განსხვავებული სურნელი დგება ამ დროს ბუნებაში. უფრო პოლიფონიური ხდება ტყეც. შამშველისა, სკვინჩების, ჩხართვების, სხვა ფრთოსანთა გალობა-ჭიკჭიკი, ეს ზაფხულის პირველი თვის დაუვიწყარი მელოდიები!

თავგამოდებით გალობდა შაშვი და სხივთა მთოვარს ეთხოვებოდა მზეს ნაძვის წვერი... წითელი იყო ცა, ეზო, ოდა, წისქვილი, შქერი... იყო რაღაცა იმქვეყნიური, მზის გრძნულ რკალში და ძველისძველი... თავგამოდებით გალობდა შაშვი და სხივთა მთოვარს ეთხოვებოდა მზეს ნაძვის წვერი...

ეს სტრიქონები ანა კალანდაძისაა. და, უნდა ითქვას, მართლაც რომ ზედგამოჭრილია ბუნების ამ დროზე.

მწვანე შუშაბანდს ქმნიან წყლისპირა ტირიფები და თხმელები. ველობები ტყის თეთრი გვირილებითა და ცისფერი მაჩიტებითაა მოფენილი, ჭანჭრობები — ყვირთელი ბაიებითა და იისფერი ფურისულელებით. ასევე, დაუვიწყარ სურათს ქმნიან ღია-ცისფერი კესანეთა ვეებერთელა ხალიჩები. შეუდარებელია ივნისის ლირიკული პეიზაჟები. აღარ იცი, საით მიატრიალო ფოტობიექტივი.

აჭარელთა ორსართულიანი, ფართოდარბაზიანი ოდა-სახლები. კოხტა ნალიათა კედლებზე და ნალის ქვეშ გასაშრობად გაკიდული, ძაფებზე ლარივით აცმული თამბაქოს ფოთლები. ხის მორებისაგან დამზადებული და ერთმანეთის გვერდზე მიწყობილი სკები. ფუტკრებს შორს ფრენა არ სჭირდებათ — იქვე ითვრიებიან ყვავილთა ნექტარის მორევიში...

ყანებში თამბაქოს პლანტაციებს სიმინდის ნათესები ცვლის. ისეა გამარგლოლი, ერთ სარეველას ვერ იპოვნი. სიმინდი ხეობაში თითქმის მთილანად ცვლის პურს. ამიტომ მინდვრის დედოფლად აღიარებულ ამ მარცვლოვანს განსაკუთრებით ევლება თავს აჭარელი გლეხკაცი. რა სჯობს აქაურ უჩვეულ მსუყე არაუანში — ყაიმალში ამოვლებულ, კეცზე გამომცხვარ სქელ ჭადს. ხავიწი — ეს ეროვნული კერძიც, ჭადის ფქვილისა და ერბოსაგან მზადდება.

გლეხს მოსავალში ხშირად ეცილება

ბუნება — ცოცხალიცა და არაცოცხალიც. ჭირს დაქანებულ ფერდობებზე სიმინდის თესვა-მოყვანა. ღვარცოფა წვიმები ტალახის მასად აქცევენ ხოლმე ნაჯაფარ მიწას. თუ წვიმები გაგრძელდა, ტალახი სელურ ღვარებად იქცევა და მოსავალს ვინ ჩივის, სახლები ჩააქვს ხეობათა ფსკერზე. სიმინდმა თუ დავაყვაცება მოასწრო, ტანი აიღირა, დატაროიანდა, დათვები გადაეკიდებიან ხოლმე იოლ საკბილოს. ტაროს მარცვალში რომ რძე ჩაუდგება ველარაფერი აჩერებს ტყიურს — ერთ ღამეში მოსრავს ყანის გვარიან ნაწილს.

— დათვებისათვის მოსავალს საზიაროდ ვთესავთო, — ნღველნარევი აჭარელი გლეხის ხუმრობა.

ზემო აჭარა ზამთარში ერთ-ერთი ყველაზე ზვავსაშიში კუთხეა მთელ საქართველოში. ამას ხელს უწყობს მდინარე აჭარისწყლისა და მისი გვერდითი შენაკადების ვიწრო და კანიონისებური ხეობები, საკმაოდ შელახული ტყეები. ბუნების სტიქია არცთუ იშვიათად ატყდება თავს აქაურ მოსახლეობას.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ინიციატივამ — ზემო აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილი დასახლებულიყო იქვე, მეზობელ კუთხეებში, დიდი შეღავათი მისცა ადგილობრივებს. განსაკუთრებით ბევრმა აჭარელმა იჩეიმა ახალმოსახლეობა გოდერძის ზეკარის ვადამა, მესხეთში. ადიგენის რაიონის ვაშლილ სანახებში. თავის კუთხეს უმიწობით შეწუხებული, უფრო მეტად ახლად დაოჯახებული ახალგაზრდობა ტოვებს.

ამას წინათ ექსპედიცია მოვაწყვეთ უჩამბას ხეობაში. საკმაოდ ძნელად სავალ გრუნტის სამანქანო გზაზე შუახნის კაცმა გაგვაჩერა. გვარიანი ბარგი მიჰქონდა. მთაში მიდიოდა, ალპურ საძოვრებზე. საქონელი მთაში ჰყავდა არეული და ცოლშვილსაც სუფთა ჰაერზე ასვენებდა. ჩვენც იქით მივდიოდით და დავიმგზავრეთ ეს დამამზრალი კაცი. ნაკაშიმედ გაგვეცნო.

დაბა ქედადან აჭარელთა საზაფხულო ბინებამდე გზა დიდია. ერთ-ერთ სოფელში შევისვენეთ. სოფლის ცენტრში რამდენიმე კაცი შეგროვილიყო და ქვეყნის საქმეებზე ბჭობდა. ხის კუნძზე მოხუცი განაპირებულიყო. იჯდა და ბიბლიური მოგვის სახე ჰქონდა.

დამინტერესა. ჩვენს დამგზავრებულ კაცს შუამავლობა ვთხოვე, ფოტოსურათს გადავუღო-მეთქი. მოხუცი გამოცოცხლდა, შეხალისდა.

გადავუღე. საინტერესო სურათი გამოვიდა. ვარდა დარბაისლური სახისა, პორტრეტს თავისებური მელანქოლიური ნიშანი დაასვა მოხუცის ცალ თვალზე მომდვარმა ცრემლმა — სიბერის აშკარა ნიშანმა.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნაც-  
ნობი კაცი გამოდგა. არ მოგვეშვებენ და  
იმ ღამეს იქ მოგვასვენეს. მოხუცზე ჩა-  
მოვუგდე საუბარი. თავისებური კაციო,  
— მითხრა მასპინძელმა. — ყანა-ბაღია კა-  
რგა ხანია დაუმეწყერდა. ხშირად მთელი  
წლის ნაოფლარი წყალს მიაქვს ხოლმე.  
დიდხანს იყოყმანა ოჯახმა, უჭირდათ წას-  
ვლა, მაგრამ შარშანწინდელი, იშვიათი  
ნალექიანი ზაფხულის გამო რომ მშვი-  
რები დარჩნენ, აღარ უყოყმანიათ, აიკრეს  
გულა-ნაბადი და აღიგენის რაიონში გადა-  
სახლდნენ, ნათესავებს შეეხიზნენ, ერისა  
და ბერის დახმარებით პირველ თოვლამდე  
სახლი გადახურეს.

ეს მართხელა ბერიკაცი კი ვაკერბდა.  
ერთხელ რომ თქვა, არაო, ვერაფრით გა-  
დაათქმევინეს. ეგონათ, დაზამთრებამდე  
მოტყუებოდა, კვირაში სამჯერ აკითხავ-  
დნენ. არაფერი გამოუვიდათ.

— ვერ გაძლებს ნენე უჩვენოდ, ასე  
დაბეჩავებულს დიდი ხნის სიცოცხლე არ  
უწყრიაო, — წუხდნენ ახლობლები. მისი  
შვილ-რძლების შემხედვარენი საცოდაო-  
ბით ვიწვოდით.

ზამთარი რის ვაივალანით გადაიტა-  
ნა ბერიკაცმა. სახლი გადაფუთოვლეთ. ბუ-  
ხარში ცეცხლი არ გაგვიხელებია. არც  
ცხელ კერძს ვაკლებდით.

გამოზაფხულდა თუ არა, მესხეთიდან  
ულელტეხილის გახსნას ვინ დაუცადა, ბა-  
თუმის გზით მოაკითხეს მისიანებმა. ატყდა  
ისევ ვაი-ვიში, კვლავ დაიღვარა ცხარე  
კრემლები, ხელახლა დაუწყეს მუდარა.  
არც ახლა გაჭრა თხოვნამ. დაიკაპიწეს  
ორივე ვაჟიშვილმა ხელები, რძლებიც  
წამოეშველნენ, მეზობლებიც. გადახნეს  
მიწა. დათესეს ყანა. მიკვალ-მოკვალეს  
ბოსტანი. შეაკეთეს სახლი. ვაამაგრეს ნა-  
ლია, საზვინეები. მოხუცს თვითონაც ჩაუ-  
დგა მუხლებში ძალა, თვალბში —  
სხივი.

ხედავენ: ყოველდღე თოხს გაიგდებს  
მხარზე. — ოლა-სახლს ზევით წყლის სა-  
წრეტ არხთან ტრიალებს. ყანას უვლის.  
მიწას თვალბით ეალერსება. მობრუნდე-  
ბა ოლაში. ვაჟებთან ძველებურად შემო-  
უჯდება მაგიდას. ისმენს ახალი მიწის ქე-  
ბა-დიდებას, თვითონ კი სიტყვა არ დას-  
ცდება, არც კარგი, არც ავი.

ნასადილევს წალდს წაებოტინება და  
ტყეს მისცემს თავს. ტყეში ტირიფის კალ-  
მებს ამზადებს. ჩავა ღელის პირას. ღელედ  
ახლა გამოიყურება პატარა მდინარე. ორ-  
სამ კვირაში, მცირე კავკასიონის მთებზე  
რომ თოვლდნობას დაიწყებს, კალაპოტი  
წყალს ველარ დაიტევს, შეუტევს ნათე-  
სებით შემწვანებულ სანაპიროს. მოხუ-  
ციც რგავს კალმებს, სამომავლოდ წყალს  
ნაპირს უმაგრებს, ბუნებრივ ჭებირს მარ-  
თავს, თან თავისთვის რალაცას ბუტბუ-  
ტებს.

— აგერ მეორე ვაზაფხული მოგვადგა  
კარზე, რაც მოხუცი მარტო დარჩა. დაიკ-  
ვირტნენ ხეები. ყვავილობს თხმელა და  
ტირიფი. ცოტა შეგვიგვიანდა მოხუცთან  
სტუმრობა, — განაგრძობს მასპინძელი.  
ორი-სამი კაცი ჩაუყუევით მდინარის ნა-  
პირს. შარშანწინ ჩარგულ ტირიფის კალ-  
მებს მოუსწრიათ დაბუჩქება. კოლხეთის  
სქელ, ტენიან ჰაერში თეთრ ბურთულე-  
ბად ციმციმებენ მათი ყვავილები. ყვავი-  
ლებზე ირევიან პეპლები, ფუტკრები.  
თოვლის ფანტელივით წამოუბერავს ქარი.  
აფრიალდებიან ჰაერში ყვავილები, თით-  
ქოს სიფრიფანა პარაშუტები. ნარნარად  
ეშვებიან შემდეგ ბალახზე, ეფინებიან  
წყლის ზედაპირს.

ღელე კარგა მანძილზე ტირიფის მსუ-  
ბუქი ღინღლითაა გადათეთრებული. ვა-  
ზაფხულს ჭერ კიდევ არ უთქვამს თავისი  
სათქმელი, ჭერ კიდევ კაეშნის მომგვრე-  
ლი სიშავითაა ჩამუქებული მდინარის  
სანაპიროები. მოწყენილ მურყნებსა და ის-

ლებს შორის კი სადღესასწაულო თეთრ  
მანტიასავით გაჭიმულა ტირიფების თეთ-  
რი ბურთულები — „კერპი“ კაცის ეს  
თავისებური, კეთილი ნაკვალევი.

ამ ნაამბობის შემდეგ კიდევ უფრო და-  
ვინტერესდი მოხუცი. მეორე დღეს  
გამგზავრების წინ, მასპინძელს ვიხივე,  
ეჩვენებინა მისი კარ-მიდამო.

ღელისკენ გავწიეთ. მივადექით ეზოს.  
თეთრად ღალანებს გვირილათა ჭარი.  
ყელყელაობს მოლონიერებული სიმინდის  
ყანა. ჭარისკაცებივით, მწყობრ მწყრივე-  
ბად გაჭიმულან თამბაქოს ნარგავები. ყვე-  
ლაფრიდან ჩანს, რომ ამჯერად მეწყერმა  
ვერაფერი დააკლო მოხუცის სარჩო-საბა-  
დებელს.

ბერიკაცი ნალიასთან დაფუსფუსებს.  
თვალი შეგვასწრო. მხნე ნაბიჯებით გამო-  
ეშურა ჩვენსკენ. ერთხანს დავეჭვდი კი-  
დეც: ნუთუ ეს ის ბერიკაცია, გუშინ სო-  
ფლის ცენტრში განმარტოებით რომ იჯ-  
და: მოგვესალმა, სახლში შეგვიპატიუა...

მანქანაში ვიჯექით და ალბური საძოვ-  
რებისაკენ მივდიოდით. ფიქრებმა წამარ-  
თვეს თავი. ის ჯანიერი მოხუცი მედგა  
თვალწინ. რამ მისცა ძალა თავისიანების  
გარეშე დარჩენილ მისუსტებულ მოხუცს,  
გადაეტანა ორი მძიმე ზამთარი? რამ გა-  
უმაგრა მუხლი? ასე რამ წაახალისა?

რა თქმა უნდა, მეწყერის ხელიდან გა-  
მოტაცებულმა, ჭირნახულით, გვირილე-  
ბით გადაღალანებულმა შამა-პაპურმა მი-  
წამ! თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს მაინც  
ჩემი, სუბიექტური ვარაუდია. ისე კი  
სრული შესაძლებელია, იმ ორ წელიწადს  
მოსავალი ისევ ბუნების ძალებმა დაინ-  
დეს. ეჭვი მხოლოდ ერთ რამეში არ შემ-  
პარვია: ბერიკაცისათვის ამ მშობლიური  
მიწის ნაგლეჯში მოქცეულია არა მარტო  
საკუთარი კარ-მიდამო, არა მარტო ღელა  
აჭარა, მთელი საქართველო, მთელი ღელა-  
მიწა, მთელი ეს უკიდევანო სამყარო.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ჩვენი სოფელი.

ფოტო არნ. გეგეჭკორისა.



ჩემი თბილისი.

ლურჯა ცხენები.

თეიმურაზ




საქართველო  
შინაგარეშე

ჩემი საკუნე.

თავადგენუება.

მ. ჩანაშის კორტრეტი.




ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საბავირო გზა.





აქართველოს „შახტპროექტის“ სახელმწიფო ინსტიტუტის ბაგირგზების განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ვახტანგ ლეყავა პორტფელში ქაღალდებსა და ნახაზებს აწყობდა, როდესაც ვეწვიეთ.

— ხვალ ტაშვენტში მივფრინავ, მიმაქვს ახალი სამგზავრო ბაგირგზების სამუშაო ნახაზები, რომლებიც ქალაქ ჯიზაკში აშენდება, — გვეუბნება ვახტანგ ლეყავა, — ტაშვენტიდან სოჭში ჩავალ, სადაც ჩემი პროექტით შენდება 1.200 მეტრის სიგრძის უკვე მეორე ბაგირგზა. პლას პანსიონატ „ნევასთან“ მიიყვანს და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულისთვის ამოქმედდება... წარმოიდგინეთ, ჩადიხარ 20-25 წლის შემდეგ რომელიმე ქალაქში და ხელაღ შენი შრომის ნაყოფს. რა უნდა იყოს ამაზე უფრო სასიამოვნო. სწორედ ასეთი გრძობა დამეუფლა ამ ცოტა ხნის წინ დონეცკის ოლქის ქალაქ დრუჟკოვკაში ყოფნისას, სადაც 1958 წელს ჩემი პროექტით აშენდა ოთხკლომეტრიანი სატვირთო ბაგირგზა. ასეთივე განცდა მიპყრობს ხოლმე კისლოვოდსკში, პიატიგორსკში, ორჯონიკიძესა და სხვა ქალაქებში ჩასვლისას, სადაც სამგზავრო ბაგირგზები მოქმედებს.

**ტექნიკური პროგრესის გზით.**

# აქართველოს

# პროგრესის გზით

— ალბათ, ყოველ „საბაგიროს“ სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებს, არა? — უდავოდ. უკვე დამტკიცებულია ტყიბულ-მუხურის ექვსკლომეტრიანი საპაერო ტრასის მშენებლობის პროექტი. მისი მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ მთელს მოგზაურობას დასჭირდება სულ რაღაც 16 წუთი გადაუჯდომლად, თუმცა, ორი შუალედური ვასავლელი სადგურიც ექნება. ასეთ სამგზავრო ბაგირგზას ანალოგი არა აქვს ევროპაში. გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე წლის წინ ამოქმედებული სილნალ-წინორის ტრასა. ტყიბულ-მუხურის ბაგირგზა, რომელიც უღელტეხილზე გადადის, ძალზე გაუადვილებს მგზავრობას მიშახტებებს, განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში.

— რამდენიმე წლის წინ თქვენ, როგორც ერთ-ერთი წამყვანი საბჭოთა სპეციალისტი, ბულგარეთში მიგიწვიეს ტექნიკური დახმარების გასაწევად.

— დიახ... ბულგარეთის „ბობოვ დოლის“ ქვანახშირის აუზში ხშირად ფუჭდებოდა სატვირთო ბაგირგზები, თავის დროზე რომ ააშენეს დასავლეთგერმანელმა, ინგლისელმა და იტალიელმა ინჟინერებმა. ამ მივლინების დროს გამოვავლინე და გამოვასწორე მშენებლობაში დაშვებული ხარვეზები, რის გამოც ბულგარეთის მთავრობის მაღლობა მივიღე.

— ალბათ, როგორც ყოველ სპეციალისტს, რაიმე ახალი ჩანაფიქრიც გექნებათ „პორტფელში“.

— საიდუმლოდ არაფერს ვინახავ. რა-

კის რაიონების მადანთა ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებულია აშენდეს სამგზავრო-სატვირთო თვითმავალი ვაგონების მონობაგირგზა, რომლის სიგრძე შეიძლება კილომეტრს შეადგენს. ახალი სიტყვა იქნება სამამულო პრაქტიკაში. ამგვარი გზის უპირატესობა ის გახლავთ, რომ არ არის საჭირო ბაგირგზის დაყოფა ცალკეულ ამძრავ უბნებად, აგრეთვე, ძვირადღირებული ელექტროგადამცემი ხაზის აშენება რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირობებში. ხუთ-შვიდჯერ მცირდება მომსახურე პერსონალის რაოდენობაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად, მეტადრე, მაღალმთიანობის პირობებში. გარდა ამისა, მონობაგირგზის მშენებლობა ორჯერ უფრო იაფი ჯდება, ხოლო ექსპლოატაცია — ხუთჯერ და მეტად!

— პატივცემული ვახტანგ, თქვენ ამას წინათ პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენი მოგენიჭათ. სად გიხდებოდათ ბრძოლა?

— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი მონალისედ წავიდი ფრონტზე. ვმსახურობდი მოტორიზებულ ნაწილში. მონაწილეობა მივიღე დასავლეთ უკრაინის, ფინეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, უზბეკეთის, ავსტრიის განთავისუფლების ბრძო-

ლში. თქვენი სახუცარი ოცნებები...

— დავაპროექტე მონორელსურ მონობაგირგზის მოსკოვიდან სოჭამდე ან სოხუმიამდე. უკვე მაქვს პირველი მონახაზები. წარმოიდგინეთ, რაღაც ექვს საათში მოსკოველები შავი ზღვის სანაპიროზე იქნებიან! იმედი მაქვს — ამ ოცნებას ხორცს შევასხამ. შორეულ აღმოსავლეთში მიხელო სერგის ძე გორბაჩოვის მოგზაურობის შემდეგ ძალზე გამიტაცა პერსპექტივამ, ჩემი წვლილი შევიტანო ამ უმდიდრესი მხარის მეურნეობის, მისი ეკონომიკის, კურორტების შემდგომ განვითარებაში. ნაღდად, იქაც დასჭირდებათ ბაგირგზები.

— რას გვეტყოდით ჩვენს რესპუბლიკაში ბაგირგზების მშენებლობის ისტორიასთან დაკავშირებით?

— ჩვენ უდავოდ, ამ მხრივ მრავალი წლის ისტორია, საკუთარი მდიდარი გამოცდილება გავაჩინა. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველი ბაგირგზები შეიქმნა. საპაერო ტრასების პირველმკვალავნი გახდნენ ჭიათურა და ტყვარჩელი. ამ სამთომომპოვებელ რაიონებში აიგო პირველი სატვირთო ბაგირგზები, რითაც მალარობესა და შახტებში მოპოვებული მანგანუმის მადნისა და ქვანახშირის ტრანსპორტირებას დაედო სათავე. ექსპლოატაციის პირველსავე წლებში ამ გზებმა კარგი სამსახური გა-

ლემში. ქალაქ გრაცში მეორედ მიძიმედა დავიჭერი. გამოჯანმრთელების შემდეგ ვმონაწილეობდი ბენდერელთა ბანდების ლიკვიდაციაში ტერნოპოლის ოლქში. 1946 წელს დემობილიზაციით დავბრუნდი. გავემგზავრე ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურზე სამუშაოდ, სადაც სხვადასხვა სამრეწველო ობიექტს ვაპროექტებდი. შემდეგ, ბაგირგზების იდეამ გამიტაცა და ავერ, უკვე სამი ათეული წელიწადია, ამ საქმეს ვემსახურები... დიდი მეგობრობა მაქავშირებს ჩვენი ქვეყნის — კერძოდ, შუა აზიის, სომხეთის, აზერბაიჯანის მრავალ ქალაქთან. მაგალითად, აზერბაიჯანში რვა სამგზავრო ბაგირგზა დავაპროექტე. ქალაქ შუშის საკურორტო ზონაში დღეს ასეთი ტრასების მთელი კომპლექსი იქმნება, ხოლო ახალი ხუთკლომეტრიანი „საბაგირო“ დააკავშირებს ორ ქალაქს — საოლქო ცენტრ სტეფანაკერტს და შუშას.

— სხვა გატაცებები ხომ არა გაქვთ?

— რა თქმა უნდა, მაქვს... მაგრამ ისინი პროფესიულ ინტერესებს უკავშირდებიან. მაგალითად, ინჟინერ ლ. აფრილონიძესთან თანამეგობრობით განვახორციელე ელექტროფორტოგრაფიული საროტაციო მანქანებისათვის განკუთვნილი რულონის ქაღალდის გადასახვევ-საჭრელი დანადგარი, რის შედეგადაც ერთიორად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მუშაობისგან თავისუფალ დროს დიდი საამოვნებით ვკითხულობ ისტორიულ რომანებს, ვისმენ კლასიკურ და ჯაზურ მუსიკას, მიყვარს თევზაობა და სპორტული სანახაობები.


ვიწიეს და დამატაციეს თავიანთი უპირატესობანი. გამოვილია დიდი გზა, განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი და ორიგინალური ტექნიკური გადაწყვეტა შეიქმნა ახალი დარგი თავისი კვალიფიკაციური მუშებითა და ინჟინერ-ტექნიკური კადრებითურთ. რა თქმა უნდა, განვლილი გზის გაშუქება, შეძენილი გამოცდილების განზოგადება, ერთი სიტყვით — ჩვენი დარგის ისტორიის შექმნა სერიოზული დამუშავებისა და გამოცემის ღირსია.

რასაკვირველია, გვაქვს მრავალი სიძნელე, გადასატრელი პრობლემა და გამოუყენებელი შესაძლებლობანი, რათა წარმატებით განვითარდეს ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო დარგი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკური პროგრესის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, კადრების მომზადების საკითხებს.

თბილისის, ჭიათურისა და სხვა ქალაქთა სტუმრებს ვერ უშოვიათ საცნობარო გამოცემები მათთვის საინტერესო ბაგირგზების შესახებ. დაუშვათ, ავიდნენ ტურისტები მთაწმინდაზე ბაგირგზით და ამ საპაერო მოგზაურობის სამახსოვროდ სურთ, შეიძინონ რაიმე ბროშურა ან ბუკლეტი. მაგრამ ასეთი რამ — ჩვენი ეროვნული ბაგირგზების შესახებ საგანგებოდ შექმნილი ბუკლეტები კი საერთოდ არ არსებობს.

ესაუბრა როგორც მებრალიზილი.

ნაწყობი რომანიდან „აზთარი“  
მკვდრის საფლავიდან პირველი  
ამოთხრა



სათქმელად აღვილია — მკვლარი საფლავიდან ამოთხარეს და ჭირისუფალს ლობეზე გადაუკიდესო. აღსრულება აღმოჩნდა ძნელი: მაინცა და მაინც იმ ლამეს ამობრძანდა სასვე მთვარე. მთელი კვირა კუნაპეტი ღამეები იღვა, ვარლამ არავიდის დაკრძალვის ღამეს კი ამობარჩხალდა. არავის მთიდან ამობრძანდა ბადრი მთვარე, გაანათა ყველა ცა, მთელი ქვეყანა. თუთარჩელა ჩააყენა არავისწყლის ხეობაში. მთვარის შუქით ისე გაკაშკაშდა ღამე, თითქოს მეცხრე ციდან სხვა მნათობნიც ჩამობრძანდნენ ღამხმარედ მთვარისა. მანათობლად არავიძეთისა, რათა საოცარი სანახაობა: საფლავიდან მკვდრის ამოთხრა მთელი ქვეყნისთვის ეჩვენებინათო.

ასეთ მთვარიანში მოდიოდა ამაყად, ზვიადად, ფრთხილად, აუჩქარებლად. გვერდით მოსდევდა საკუთარი გრძელი ლახლი და ესმოდნა საკუთარი ნაბიჯების ხმა. შორიდან მაკეჩრალი იფიქრებდა, მწირი ვინმე ზურგჩანთაყიდებელი, სამოგზაუროდ აყრილიო.

სასაფლაოსკენ რომ გადაუხვია, უცებ აჩქარდა, ასწრაფდა, იმით-ღა მიხვდებოდა, მოგზაური არ იყო. — სასაფლაოს გზა სხვაგან არსად მიდიოდა, არც მოგზაური ასწრაფდებოდა ამგვარად.

სასაფლაოს შესასვლელთან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, კარი არ გაუღია, კარის გვერდით ჭირისუფლებისთვის განკუთვნილ ალაგზე გადალაჯა და ჩქარი, მაგრამ აკრეფილი ნაბიჯებით საფლავებს შორის გაილანდა, თითქოს ეშინია მკვდრები არ გააღვიძოსო.

ჩვეგ ხალდანი გახლდათ ეს ახირებულნი, ღამეული ლანდი!

როგორც აფთარი ქარიანი ღამით ტყიდან გამოსული, მშვიდი, ლეშს მოწყურებული, ახალდამარხული მკვდრის სუნს იკრავს და მისკენ ისწრაფვის, ისე ილტვოდა ხალდანი ვარლამ არავიდის საფლავისაკენ.

მტყობოდა, ყველაფერი წინასწარ გულდაგულ მოეფიქრებინა. შეესწავლა აჭაურობა, აეწონა-გაეზომა, საფლავთან რომ მივიდა, იცოდა სად რა დავად, სათხრელი იარაღები რისთვის რა დასჭირდებოდა. წვრილმანებისთვის დრო არ უნდა დაეკარგა. ასაწყობი ბარი და ნიჩაბი ზურგჩანთიდან ბოლოს ამოიღო. ხელის სიმარჯვე, მკლავის ძალა გადაწყვეტდა ამ ღამით ყველაფერს.

ვარლამ არავიდის საფლავს პირველი ბარი რომ დაჭრა, უმალ შვება იგრძნო. მრავალი წლის ბოლმა და ბალამი, წვეთ-წვეთად გულში დაგროვებული შხამი, სულში ჩაგუბებული აქ უნდა დაენთხია ამ ღამით, ამ საფლავზე.

დაჭრა ბარი, გადაყარა მიწა, დაჭრა, გადაყარა, დაჭრა გადაყარა...

ელვაზე სწრაფად მოქმედებდა, ელვა-სავით მოძრაობდა. მუხლამდე ისე ჩავიდა, ერთხელაც არ შეუხსენია, არ უგრძენია ეს „ჩასვლა“. მუხლამდე რომ ჩავიდა, ნიჩაბი მიუმარჯვა ნაყარ მიწას და ნიჩბით ამოწმინდა.

დაჭრა ისევ ბარი და ქვევით წავიდა, დაჭრა ბარი... თითქოს სამართლიანობა გააღვიძა...

გააფთრებით ჩადიოდა მიწაში და აფთრის ყმუილი შემოესმა. თავი აიღო, ღამეს დააყურა, მომესმაო — იფიქრა და ბარს კვლავ ნიჩაბი შეუწაცვლა, დიდ კოლბოხებს დასტაცა ფართო ხელები, საფლავიდან შიშველი ხელებით ამოყარა მიწა. კვლავ შემოესმა აფთრის ყმუილი და მიხვდა, რომ ამ ხმას თვითონ გამოსცემდა.

განა რა განსხვავება იყო მასსა და აფთარს შორის! არაფერი, მაგრამ ეს ვერ შეაქრებოდა. „აფთარი იყავ, აფთარივით უნდა ამოგთხარო საფლავიდან!“ — ჩასძახა საფლავში ვარლამ არავიდეს და თხრა განაგრძო. უკვე ხეითქი გადასდიოდა შუბლზე, საკუთარი გულის ძველაც ესმოდა, მაგრამ დაღლა რა იყო იმ სიხარულთან, რასაც არავიდის კუბოს თავსარქველის აგლეჯა მოანიჭებდა.

მოკვლა უნდოდა და ვერ მოკლა, კატორღიდან დაბრუნებულმა დიდხანს გარს უარს ვარლამ არავიდის სასახლეს, და ბოლოს თავი მიანება, ვერ იძია შური, ვერ მოკლა. ამას კი უსათუოდ აღსრულებდა, ვერავინ გადაათქმევინებდა. თუ ვინმე, უცებ, თავზე წაადგებოდა, ხელს შეუშლიდა, აგერ, სასაფლაოს ლობის გადაღმა იწყებოდა ტყე, იმ ტყეს შეაფარებდა თავს ღროვებით. საფლავს არამცდარამც არ მოსცილებდებოდა, არ დააყენებდა ვარლამ არავიდეს საფლავში, თითქოს ზეცას გამოეტანა განაჩენი.

თეთრი მთვარე სასაფლაოს კუთვნილ ცაზე შემოკურებულყო, ზედ თავზე ადგა ვარლამ არავიდის საფლავს, იფიქრებდით შურისმაძიებელს ენმარება დასახული მიზნისაკენ მიმავალი გზა გაუნათოსო, — ამოთხრილ საფლავში ნემსი რომ ჩაგვეგდოთ, იპოვიდით.

მხრებამდე ჩავიდა მიწაში, წესითა და რიგით, უკვე კუბოც უნდა გამოჩენილიყო. ბარს ფეხი მძლავრად დაჭრა, კუბოს ფიცრის ხმის გავონება სწაღდა. მეტისმეტი მოუვიდა, თურმე მიწა კუბოს ორი თითის დადებზე ეყარა. ბარი სამარის კიდზე ჩამოლო, მოკლეთარინი თოხი მოქებნა ხელის ფათურით, თოხით მოფხიკა მიწა, ერთად-ერთ კუთხეში შეაქუჩა და ნიჩბით ამოყარა. ახლა ჩაქუჩი და მარწყუხი გადმოიღო სამარის კიდიდან. კარგი დურგალივით ჩაქუჩის კაკუნით გადაუარგადმოუარა კუბოს, თავსარქველი მაგრად იყო დაჭედებული, ნაპრაღს ექებდა. მარწყუხის ტარით სცადა, ვერ მიუღდა ვერსაიდან. ცული გადმოიღო, ცულს უფრო თხელი პირი ჰქონდა, ღრუჭის ადვილად იპოვიდა, გრძელტარაც იყო მარწყუხთან შედარებით, მისი ბერკეტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და თავსარქველი ღრჭილით აგლიჯა. დასტაცა თავსარქველს ხელი და სამარიდან ამოაგდო, ნაყარ მიწაზე თავსარქველი პირაღმა დაეცა, ოღნავ შექანდა-შემოქანდა, ერთ მხარეს დაყირავდა და ასე დარჩა.

მთვარის შუქი ვარლამ არავიდის ჩალურჯებულსა და მკვდრულ სახეს უფრო ჩამუქებულად, და თითქოს უფრო საშიშადაც კი წარმოაჩინდა. ხალდანს მისთვის არც დაუხედავს, როცა თავსარქველი ააგლიჯა, უნებურად ჰკიდა თვალი. საყურებლად, ამ ყურებით გულის მოსაოხებლად არ ეცალა. მთავარი საქნარი წინ ედო: როგორ-ღა ამოიღო ამხელა კაცი საფლავიდან, აქედან მიუდგა, იქიდან მიუდგა. ჩვეგ ხალდანი ღონიერი, ძვალმსხვი-

ლი, ბეჭვანიერი ვაჟაკი იყო, მაგრამ ცხედრის თავს ზემოთ აწევა და სამარიდან ამოგდება ძალზე გაუჭირდა; სამარის ქვედელი დაიხმარა, მკერდამდე შეჩქარებულად კედელს მიაკრა და წესდენი კედელშიც კი ჩიხიუტა საძულველი გვანი არავიდისა და, ბოლოს და ბოლოს, ამოაგდო საფლავიდან. როცა თვითონაც ამოხტა, ქშინავდა, ქსიტინებდა და ახველებდა. ჩამოჯდა საფლავის ქვაზე და შეისვენა. მთავარი მიღწეული იყო, — ვარლამ არავიდე საფლავში აღარ იწვა...

სული მოიბრუნა. ჭუჭყიანი ხელით ოფლი შუბლიდან მოიწურა და წამოდგა. ცხედრის ზურგზე მოგდება არ გაჭირვებია. ტანი რამდენიმეჯერ მოიქნია, — შეისწორა ზურგზე ტვირთი, გვამს ხელები წინ, ჩვეგ ხალდანის თავს ზემოთ ჰქონდა გადმოშვებული და შურისმაძიებელს თავპირი არ უჩანდა.

შუა ღამე დიდი ხნის გადასული იყო, კაშკაშა მთვარიან ღამეში, სასაფლაოს მკვდრულ სიჩუმეში, ნაბიჯების ხმა გაისმოდა. საფლავებზე დაფენილ ხეთა ჩრდილებში წამით შეიმალეობდა ლანდი და უმალ მთვარის სხივთა ნაკადში გაკრთებოდა თავისი უჩვეულო ტვირთით. შორიდან მაკეჩრალი თმების გაეთერებამდე შეშინებული, იფიქრებდა: ამდგარა საფლავიდან მკვდარი და სხვა მკვდარიც ზურგზე მოუკიდებიაო.

ვარსკვლავებსაც კი მომატებოდათ კაშკაში, თითქოს ღიად დარჩენილ სამარეში ჩაცვენას აპირებნენ, ხომლად შეკრებილიყვნენ და მიწისკენ იყურებოდნენ, ცათა შინა არაფერი ხდებოდა აღმატებული, ვიდრე პატარა სამარეში არავიდისა.

ჩვეგ ხალდანი სასაფლაოს ალაგზე გადადიოდა, მთვარის შუქზე შორიდანაც კარგად ჩანდა მისი ტვირთის მორკალული ზურგი, ხოლო როცა არავიდეთა სასახლისაკენ თავდაღმართზე დაეშვა, მთვარე და ვარსკვლავებიც უკან გამოჰყვნენ, ხეებიც სასაფლაოზე ჩუმად მდგარნი, დაიძრნენ შემოფოთებული ადგილიდან — სად მიაქვთ მკვდარი, მისი ადვილი სხვაგან არსად არისო.


მართლაც საკვირველი ღამე იყო ის ღამე, უეცარი, მოულოდნელი, ჩერ არნახული და არგავონილი; წუხელ დამარხული მკვდარი ნაშუალამეგს უკვე აღარ იწვა საფლავში.

რატომ ამოთხარა? ვინ ამოთხარა? სად მიჰქონდა? რას უპირებდა გვამს?.. ეთერში დასრიალებდნენ ეს კითხვები და პასუხად მხოლოდ ქმენა და ნაბიჯების ხმა გაისმოდა.

წელში მოხრილი, თავჩალუნული მიათრევდა ტვირთს, მკვდრის წინ გადმოყრილი მკვლავებისათვის ჩაველო ტორები და ნაბიჯებს ერთნაირად, წონასწორობის დაცვით ადგამდა, ვინძლო უნებურად არ შევქანდებ და არ გადმომივარდესო. მთელი სიმძიმე თავსა და ბეჭებზე აწვა, გვამის სიმძიმისაგან ნიკაბი მკერდს ლურსმანივით დაბეჭდოდა, სტაკოდა ნიკაბიცა და მკერდიც, ხეითქი გადასდიოდა შუბლსა და გულისპირზე, გრძობდა, როგორ უსველდებოდა ცხელი ოფლით მისიური, როგორ ეტყებებოდა ტანზე. ვარლამ არავიდის სასახლემდე შორი გზა არ იღო, მაგრამ თრევა მაინც გაუჭირდა, მძიმე აღმოჩნდა გვამი.

როგორც იქნა გამოჩნდა არავიდეთა ცნობილი თაღოვანი რკინის კარიბჭე. კართან დაეგდო? თუ აეყუდებინა? თუ ჩაეგდო ეზომი? არა. ყველაფერი წინასწარ

# კვირული



გაეთვალისწინებინა, გაესივრებინა: საფლავიდან ამოგდებული მკვდარი სოფელს უნდა ენახა. თვალსაჩინო ადგილას, ყველას დასახნად ტრიფოლიატის ღობეზე უნდა გადაეკიდა. ტრიფოლიატის ეკლიან ღობეზე გადაკიდება დაამშვენებდა საფლავიდან ამოგდებულ ვარლამ არავიძის გვამს. ამისთვის საგანგებოდ მოემზადებინა ღობეცა და ზედ მისადგომიც, — ლოდი მოეგორებინა წინასწარ, ვითომ აქ, ღობის ძირას ეგდო დასაბამიდან, იმ ლოდზე შედგებოდა და ზურგიდან, პირდაპირ ტრიფოლიატის ღობეზე გადადებდა ცხედარს. ჩანაფიქრი იოლად ვერ განხორციელდა, — ვერ შესწვდა ღობეს. აქაც ბევრი იწვალა. შარი-შური, ქშენა და გინება რომ ასტეხა, არავიძეთა ძალი მგელია მოვარდა ღობესთან კბილების ღრჭინით. ძალის ყეფამ და ღრენამ ხალღანი უფრო ასწრაფა და ააჩქარა. ამისთვისაც მზად იყო, კარგად იცნობდა მგელიას, — ჯიბეში ძეხვის ნაჭერი ედო, საგანგებოდ მის გასაჩუმებლად წამოღებული, ტრიფოლიატის ღობის გადაღმა, შორს გადაუგდო, ჰაერში ძეხვის ნაჭერმა რომ გაისრიალა, მგელიამ უმალ იყნოსა მისი გეში, — სხვა დროსაც, ღამით, მიუღია ასეთი საჩუქარი. — იქით გავარდა, სადაც უნდა დავარდნილიყო ძალის ლუკმა. დიდად არ შემცდარა, სადაც დავარდა, იქ აღმოჩნდა, ღამის ჰაერში დაიჭირა ძეხვი. ხელათ გადაყლაპა და გაჩუმდა კიდევ წავიდა და ხის ძირას დაწვა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ტრიფოლიატის ღობის გადაღმაც და ვადმოღმაც. ჯეგე ხალღანს თავისი საქმე მოემთავრებინა, ქვეზე იჯდა თავჩაღუნული და სიგარეტს აბოლებდა, ისვენებდა. ცაზე მთვარე მიცურავდა. ტრიფოლიატის ღობე გადაღმა, შორს-გზისკენ, ფენდა ჩრდილს, იმ ჩრდილს შეფარებოდა ხალღანი და ეზოდან არ ჩანდა. როცა წამოდგა და გზას გაუდგა, ფეხისხმამ ძალი წამოავდო და ყეფით გაეკიდა მიმავალს, ღობე-ღობესდია, ბოლოს როცა ღამის სტუმარი არავიძეთა ეზო-მიდამოს გაეცალა, მთვარიანში დიდხანს გაისმოდა ძალის ყეფა.

ჯეგე ხალღანმა მთვარიანში ღობე-ღობე, შუკა-შუკა, იარა, იარა, ალაგებზე გადახტა, მოკლევზე ჰრიდა თუ, მალევე მიიპარებოდა, უგზო, უვალ ადგილებში მიიკვლევდა გზას, ბოლოს, ბაღში ჩამჯდარ ორსართულიან სახლს უკნიდან მიადგა. არავიძეთა ცნობილი მძღოლის — დუროს კარ-მიდამო იყო. უკანა კარებზე დააკაკუნა. ხმა არავინ გაიღო, ეძინა დუროსაც და მის ცოლ-შვილსაც. შუალამე გადასული იყო, ვინ უნდა ყოფილიყო ამ უდროო

დროს? საცვლებისამარა დურო ჯერ წინკარისკენ გაქანდა და იქ იკითხა, რომელი ხარო. შემდეგ უკანა კარსაც მოადგა და გაჯავრებულმა დაიხურჩულა:

— რომელი ხარ?  
— შენი ემცხრა მჭირდება სასწრაფოდ, — ჩურჩულითვე შესძახა კარის ღრჭინოში მოსულმა.

— მერე? რომელი საათია ახლა? — დუღუნ-დუღუნით წავიდა უკან, თან იცვამდა, თან იმაზე ფიქრობდა, გაეღო კარი თუ არა. ეშინოდა, აყოვნებდა... ასეთ დროს მოსული მუშტარი, როგოც წესი, ბევრ ფულს იძლეოდა. სიფრთხილისათვის კითხულობდა რომელი ხარო, სიფრთხილისთვის აყოვნებდა, თორემ ასეთ მუშტარს უკან გააბრუნებდა?..

დურო თავისი ემცხრათი არავსა და არავიძეთა სისწაულეებს ახდენდა. ამ მანქანით საქურდავადაც წასულან და ქალის მოსატაცებლადაც, სავაჭროდაც და საბანდიტობაც, ყველა გაუკეთებელი საქმე ამ მანქანით გაკეთებულა. შეუძლებელი, აკრძალული, კანონგარე გამოცხადებული, შესაძლებელი, დასაშვები, კანონიერი გამხდარა. ის ხომ ვარლამ არავიძის მანქანა იყო, ვინ გააჩერებდა ღამით მიმავალს! ვინ გაუბედავდა შემოწმებას! დურო ამით სარგებლობდა და დიდ ფულს შოულობდა — ამით მიღვას სულით, ამბობდა. მართლაც, ერთ ღამეში, ერთ გზობაზე, ორასსამას მანეთს აძლევდნენ, ამაზე სარფიანი საქმე რა უნდა ყოფილიყო? დურომ უცნობს კარი დაუფარავი სიხარულით გაულო. კარში მღვევივით ვაჟკაცი შემოიხლანა. ეს სიდიდე მაინცდა და მაინც არ მოეწონა. თვითონ დაბალი, ჩაგვირისტებული, მოკლე ხელემა კაცი იყო. შუქი სასტუმრო ოთახში ანთო და მოსული იქ შეიყვანა.

— მაგ სავარძელში ვერ დავჯდები, სველი ვარ... — შემოსვლისთანავე ჩაიღუღუნა ხალღანმა და შუა ოთახში დადგა დაბალი ვუგუნა ხმა ამოსდიოდა ხორხიდან. ჯიშინა მალაღ, სქელ, მოწითალო ყელ-კისერზე ნაოჭა ხორხი იკვეთებოდა საუბრისას. ახლავეო — უთხრა დურომ, ოთახიდან გავიდა, უმალ რევოლვერი მოქებნა, ყოველ შემთხვევისათვის საშინაო ხალათის ჯიბეში ჩაიღო, დასტავა ხის ტაბურეტს ხელი, ვითომ აქ არაფერი მომხდარაო, შებრუნდა უკან და სტუმარს სკამი სავარძლების წინ დაუდგა.

მოსულს ხვითი გადასდიოდა შუბლზე, სველი სამოსი ტანზე ეკვროდა, ოფლისა და კაცის სუნი შემოეტანა, — ოთახში უსიამო სუნი იდგა. დურომ აიგნის კარი

გამოაღო, ოთახში მთვარიანმა ღამე შემოიხედა და გრილი ჰაერიც შემოვიდა. სტუმარი შუა ოთახში, ტაბურეტზე დაჯდა, გამართული იჯდა, უფიქროსი დაწყება ეძნელებო, დიწხ, გრძელ საუბარს თუ აპირებდა. სიგარეტი ამოიღო, ასანთიც მოიხრია ჯიბეებში, მშვიდად გააბოლა, მთელი ამ ხნის მანძილზე მასპინძლისთვის არ შეუხედავს, განზე იყურებოდა.

— დირგია გავიგონით? — იკითხა ხმადაბლა.

— ტყის კაცი ხომ?.. — გაუხარდა დუროს, სტუმარმა ხმა რომ ამოიღო, — იქით, მთებში ცხოვრობს... — ხელი თავს უკან გადაიქნია და სტუმრის პირდაპირ, რბილ სავარძელში, საბოლოოდ მოკალათდა.

— ჰო... — მიუგო მოსულმა. შეყოვნდა. ზომავზე მეტად შეყოვნდა, კაცი იფიქრებდა, მეტის არაფრის თქმას არ აპირებდა. დურომ მოთმინება დაკარგა:

— მერე?  
— მე ის ვარ!.. — უთხრა პირდაპირ, მკაცრი კილოთი და თვალები შეანათა.

დურო სავარძელში შეიმშუშნა, ვერ გაუძლო სტუმრის ელვარე მხერას. მსხვილი შავი თვალები ავად კიაფობდნენ, გრძლად ჩამოშვებული უღვაშები, ოდნავ შეჭალარავებული, გადახორცილი თმა, გრძელი, მსხვილი მკლავები წინ დალაგებულნი, კარგს არას ეუბნებოდნენ მასპინძელს. ის ვარ მეო, „დირგია ყოფილა“ — გაუელვა თავში დუროს და უსიამოდ შეიმშუშნა. დირგია თითო-ოროლა მონადირეს თუ ენახა შორიდან წავარენებზე მიმავალი, ან კლდეებზე ფრჩხილებით დაკიდებული. არავსა და არავიძეთა დირგიაზე ლეგენდები ითხზებოდა ჰიმალაისთვის რაც თოვლის კაცი იყო, არავის მხარისთვის დირგია გახლდათ.

დუროს კარგად ახსოვდა არავის მთებში მისი გამოჩენა. მწყემსებმა ჩამოიტანეს ამბავი — არავის მთებში ტყისკაცი გამოჩნდა — არჩვეს ხელით იჭერსო. მაშინ ვარლამ არავიძე ჯერ კიდევ განაგებდა არავს და დამჭირველთა რაზმები შეუსია მთებსა და ტყეებს. ვერას განდენენ, ვერსაიდან ვერ მიუდგნენ იმ მთას. სადაც მწყემსების თქმით ტყისკაცი ბუნავობდა.

ახალმა ხელისუფლებამ უფრო ეშმაკური ხერხი იხმარა, მონადირეები მოისყიდა და შეუჩინა. ვერც მონადირეებმა შეძლეს შეპყრობა ბოლოს თავი მიანებოს. კაცი არაფერი აშავებდა. სოფელს არას აკლებდა, თავისთვის მარტოც (ცხოვრობდა ხან ერთ მღვიმეში, ხან მკორეში. ზოგჯერ მიუვალ ადგილას კარავს დაიდგამდა, საქონელს გაიჩენდა და იმით ცხოვრობდა. „დირგია“ მეგრულმა მწყემსებმა დაარქვეს თურმე, იმის გამო, რომ ღღეს თუ ამ ტყეში ტყუავდა თავს, ხვალ სხვა ტყეში მიმოივინებდა, თავისი ორი ძროხითა და სამი დეკულით. მეგრული სიტყვა „დირგია“ სრულად გამოხატავდა ტყისკაცის საქციელს, — სწრაფ გადასვლას ერთი ადგილიდან მეორისაკენ, მიუვალ-გაუვალ ტყეებსა და კლდე-ღრეებში მომთაბარეობას.

ვინ იყო ეს კაცი? საიდან მოვიდა? რატომ ცხოვრობდა ტყეში? — არავინ არაფერი იცოდა. ერთ ხანს ხმა გავარდა: დირგია ოისიმეს ფუნდუკში ღამ-ღამობით ჩამოდის და ბურს ყიდულობსო. გააქანეს ოისიმე არავში, ერთი კვირა დამწყვედული ჰყავდათ, დაკითხავდნენ და ოქმებს სწერდნენ, ყველაფერი ათქმევინეს. რაც









ინტერვიუ აილო შალვა სვანაძე.

პატივცემულო რედაქცია!  
რამდენიმე წელია შევიძინე მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ-2103“. იგი უკვე მოძველდა, ხშირად გამოდის მწყობრიდან, ნაწილების დეტალების შოვნა კი უსაშველოდ ჰქირს. იქნებ მოგვითხროთ მკითხველებს, თუ რა სახის დახმარებას შეგვთავაზებს მომხმარებელს საქართველოს რესპუბლიკური ცენტრის „ავტოვაზტექმომსახურების“ კოლექტივი?  
ასლან თურმანიძე,  
პედაგოგი,  
ხელვაჩაურის რაიონი.

ჩვენი ქვეყნის საავტომობილო გზებზე წლიდან წლამდე იზრდება მსუბუქი ავტომანქანების ნაკადი. ამასთან ერთად იცვლება ამ ავტომანქანების მარკებიც. რას გვპირდებიან უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყნის ავტომწოდებლები?  
ვახტანგ წიკლაური,  
ექიმი,  
ბარდაბნის რაიონი.

როდესაც ადამიანს ავტოპრობლემა აქტორიაში შეეყავს ავტომანქანა, წინასწარ ღელავს, განიცდის, დიდი ხანია წინაშე დგება: როგორ მოემსახურებიან? ბუნებრივია, გვსურს მოგვემსახურონ დროულად, ხარისხიანად და, რაც მთავარია, საჭირო ავტონაწილების გამოცვლა არ დაჯდეს ღირებულზე მეტი. რას გვპირდებიან ამ მხრივ თბილისის ცენტრ „ავტოვაზტექმომსახურებაში“?  
მიხეილ კინაძე,  
ინჟინერი.

თბილისი.

რედაქციაში შემოსული ამ და სხვა სახის წერილების შინაარსი ჩვენ გავაკანთ რესპუბლიკური ცენტრ „ავტოვაზტექმომსახურებაში“ გენერალურ დირექტორს თეიმურაზ ზედელაშვილს და მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით ვთხოვეთ, მოეთხორო იმის შესახებ, თუ რა კეთდება ამჟამად და „ავტოგვიანტში“ მომხმარებელთა უკეთ მომსახურების თვალსაზრისით.

სანამ რედაქციაში შემოსულ წერილებს გავცემ პასუხს, მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობ უახლოეს წარსულს. სწორედ 17 წლის წინათ, 1970 წელს დაიწყო ამჟამად სსრკ 50-ე წლისთავის სახელობის „ვოლკსის“ საავტომობილო ქარხანამ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მსოფლიოში ერთობ პოპულარული ავტომანქანა „ვიგულის“ გამოშვება. ცნობილი ამერიკული ჟურნალის „ტიმის“ ფურცლებზე დაიბეჭდა

# გვანი, სიასანი, ჰროსლეუნი

წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ტოლიატის ავტოქარხანა — ეს არის „ის უდიდესი ძეგლი“, რომელიც ოდესმე აგებულა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის საიდუმლოდ.  
იმ პერიოდისათვის ვოლკსისარა ავტომწოდებლები ყოველდღიურად 400 ავტომანქანას უშვებდნენ ქარხნის კონვეიერდან, ამჟამად კი ყოველდღიურად 2.600 ცალი მცირე გაბარიტიანი ავტომობილი ჩამოდის, რომლის საერთო რაოდენობამ კარგა ხანია 12 მილიონს გადააჭარბა. სამამულო ავტომწოდებლობაში ქარხნის კოლექტივმა ახალი სიტყვა თქვა „ვაზ-2108“ და „ვაზ-2109“ მოდელების ავტომობილების გამოშვებით. ისინი მკვეთრად განსხვავდებიან წინამორბედი ავტომანქანებისაგან. საწვავს

ეკონომიურად ხარჯავს, ახასიათებთ დინამიკურობა, მაღალი მანევრირება. მანქანის სისტემაში ფართოდ დაინერგა ელექტრონიკის უკანასკნელი მიღწევები. სხვა მარკის ავტომანქანებთან შედარებით იმ უპირატესობითაც გამოირჩევიან, რომ წამყვანი აქტი წინა თვლები.  
„ვაზ-2108“ მარკის ავტომობილს უდგას 64 ცხენისძალიანი ძრავი, გამოდის 5 და 6 სიჩქარიანი გადაცემათა კოლოფით. „ვაზ-21083“ კი აღჭურვილია 75 ცხენისძალიანი ძრავით, რომელიც გამოდის მხოლოდ 6 სიჩქარიანი გადაცემათა კოლოფით და უფრო სრულყოფილი ინტერიერით გამოირჩევა.  
„ვაზ-2109“ მარკის ავტომობილს აქვს 5 კარი, 64 ცხენისძალიანი ძრავი, 6 სიჩქარიანი გადაცემათა კოლოფი.  
ამჟამად, ქარხნის კოლექტივი მუშაობს ახალი მოდელის „ვაზ-21010“-ისა და „ოკა“-ს შექმნაზე, რომლებიც თავიანთი თვისებებით მსოფლიოს სტანდარტებს გაუთანაბრდებიან.  
„ოკა“ გამოშვება ნავარაუდევია 1988 წლის დამლევს, „ვაზ-1910“-ის კი 1990 წელს.  
ევროპაში უდიდესი ეს კომპლექსი მარტო ავტომობილების გამოშვებით როდი კმაყოფილდება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური ავტოვაზტექმომსახურების ცენტრები ჩვენს ქვეყანაში.  
საქართველოს რესპუბლიკური ცენტრი „ავტოვაზტექმომსახურება“ ჩამოყალიბდა 1974 წელს. 13 წლის მანძილზე საკმაოდ გაფართოვდა და დღეს ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით ითვლის 27 ავტოტექმომსახურების სადგურს. 1986 წლის განმავლობაში ამ სადგურებმა მომსახურება გაუწია 281.740 ავტომობილს. მათ შორის 22.000 გარანტიულს. საგარანტიო პერიოდში 6000 ავტომობილს დამამზადებლის ხარჯზე შეეცვალა ქარხნის მიზეზით მწყობრიდან გამოსული სხვადასხვა კვანძი და დეტალი.  
1987 წელს დაგეგმილია არსებული სადგურების სიმძლავრეთა გაზრდა, ხოლო 1988 წელს — რესპუბლიკური ცენტრის გეოგრაფიის გაფართოება ახალი სადგურების აშენებით. გარდა ამისა, დაიწყება მომსახურება უშუალოდ გზებზე, რაც ძალიან სჭირდება ჩვენს ავტომფლობელებს.  
ახალი დიაგნოსტიკური მოწყობილობების მონტაჟის დამთავრებით გაუმჯობესდა ავტომობილების შეკეთების ხარისხი და შემცირდა დახარჯული დრო. ამ მოწყობილობების დიაგნოსტიკების სფერო გაფართოებულია და ამოწმებს ავტომობილის ყველა პარამეტრს.  
ავტომფლობელთათვის ერთ-ერთ რთულ პრობლემას წარმოადგენს ავტოსათადარიგო ნაწილების შექმნა. აღნიშნული პრობლემა წარმოშვა შემდეგმა ვითარებამ: სტატიკური მონაცემების თანახმად საავტომობილო პარკის ზრდა აბსოლუტურ ციფრებში ემთხვევა გამოშვებული ავტომობილების რაოდენობას. პარკი ზრდასთან ერთად ძველდება კიდევ და, ბუნებრივია, საჭიროებს დიდი რაოდენობის სათადარიგო ნაწილებს. უკმარისობის ზრდას ხელს უწყობს

საწვავ-საცხები მასალის უკმარისობა, ნაღო ხარისხი, გზის სიფარული, სურველი მდგომარეობის უკმარისობის არასწორი ექსპლოატაცია და ა. შ. ამ მიზნით რესპუბლიკური ცენტრი „ავტოვაზტექმომსახურება“ შეუდგა გაცვეთილი ნაწილებისა და კვანძების აღდგენას.  
...მოკლე ხანში დავიწყებთ მუხლალივის აღდგენას. ეს და სხვა ღონისძიებები ნაწილობრივ შეამცირებენ დეფიციტს ავტოსათადარიგო ნაწილებზე.  
ცნობილია, რომ დეფიციტი ამ სფეროში ქმნის ნიადაგს ნეგატიური მოვლენების წარმოსაქმნელად, მის აღმოსაფხვრელად ამოქმედდა გამომთვლელი ცენტრი, კონტროლს რომ უწყვეს სათადარიგო ნაწილების მოძრაობას და ხელს უწყობს დანიშნულებისამებრ მის განაწილებას.  
მანქანის დიაგნოსტიკის დროს ოსტატი უკვე ამ მანქანის საშუალებით არკვევს, თუ რა და რა სახის ნაწილები გააჩნიათ საწყობში. სწორედ ამან განაპირობა, რომ გამოირიცხა დეფიციტური ნაწილების გადაამლურა დასამალა და, ადრე, თითქმის ყოველი მომხმარებელი იძულებული იყო, თვითონ ერიბინა საწყობში. გავი, ჰქონდათ თუ არა მისთვის საჭირო ესა თუ ის დეტალი და არც იყო გამოირიცხული ურთიერთგარიგება მომხმარებელსა და საწყობის მუშაკს შორის.  
კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: ავტომოყვარული მძღოლი, რომელიც, მართალია, მშვენივრად მართავს კუთვნილ ავტომანქანას, მაგრამ როცა კი დაზიანდება მანქანის ესა თუ ის დეტალი, ის რჩევისათვის და დიაგნოზის დასადგენად ჩვენს ზეინკლებს მიმართავდა ხოლმე. არ იყო გამოირიცხული, რომ ზეინკალი ამ საქმეს სუბიექტურად აფასებდა. მწყობრიდან გამოსული ერთი, ან ორი დეტალის ნაცვლად 4-5 დეტალს უსახელებდა, რომლებიც კლიენტს საწყობიდან გამოჰქონდა. ზედმეტ დეტალებს ზეინკალი ითვისებდა. ავტომანქანის წინასწარმა დიაგნოსტიკამ კი საშუალება მოგვცა, მოგვეხსნა კონსტრუქციულ-გარიგება კლიენტსა და ზეინკალს შორის.  
ვთქვათ, დისპეტჩერის გულწრფელობაში დაეკვდა კლიენტი. შეუძლია, არ ინერვიულოს და დამატებითი ცნობებისათვის (გაკონტროლებსათვის) მიმართოს გენერალური დირექტორის მოადგილეს წარმოების დარგში, ვისთანაც იყრის თავს საწყობში არსებული დეფიციტური დეტალების მონაცემები.  
„ვოლკსის“ საავტომობილო ქარხანა მანქანებით ვაჭრობას რესპუბლიკური ცენტრების მეშვეობით აწარმოებს. საქართველოში ამ ოპერაციებს ასრულებს თბილისი და ქუთაისი. მოსახლეობისათვის რაც შეიძლება მარჯველ მომსახურებისა და დროის ეკონომიის მიზნით მაისიდან „ვაზ“-ის მარკის ავტომობილებს იღებს და ყიდის გულრიფვის ცენტრები.  
თბილისის სპეცავტოცენტრთან შეიქმნა ორი კოოპერატივი. გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის



აო ძე-ლუნის გარდაცვალების შემდეგ (9. IX. 1976 წ.). ჩინეთის ხელმძღვანელობაში, როგორც აღნიშნულია ჩკპ-ის პლენუმების დოკუმენტებში (1978, 1981, 1982), „ანალიზი გაუკეთა და გააკრიტიკა მრავალწლიანი მემარცხენე შეცდომები“, მათ რიცხვში „მაო ძე-ლუნის სიცოცხლის ბოლო წლებში დაშვებული შეცდომები“ და აღდგა „მაო ძე-ლუნის იდეების ნამდვილი სახე“.

1984 წლის მაისში სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის კრების სესიამ კვლავ დაასაბუთა სახალხო მეურნეობაში „ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების“ გავრცელების მნიშვნელობა და აღიარა „ლია კარის“ პოლიტიკის განხორციელება: უცხოეთის კაპიტალის მოზიდვა ქვეყნის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ 4 ეკონომიკურ ზონაში და უცხოელი ინვესტიტორების 14 საზღვაო-სააორტო ქალაქში დაშვება. 1985 წლის დასაწყისში ჩინეთის მთელი ზღვისპირეთი გამოცხადდა ლია ზონად.

ქვეყნის ეკონომიკაში გატარებული ლიბერალიზაციის შედეგად მეექვსე ხუთწლეულში (1981-1985 წწ.) სამრეწველო წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ 11, ხოლო ეროვნული შემოსავლისამ — 10 პროცენტით შეადგინა.

ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში წახალისებული არიან კერძო მეწარმეები, რომელთა რიცხვიც ქალაქებსა და სოფლებში 1986 წლის დასაწყისისათვის 16,7 მლნ ადამიანს აღწევდა (1990 წლისათვის ეს რიცხვი 50 მლნ მიაღწევს). მათ ხელში კონცენტრირებულია 170 ათასი სატვირთო ავტომანქანა, 2,8 მლნ ტრაქტორი (ჩსრ-ის მთელი სატრაქტორო პარკის 70 პროც). კერძო სექტორის მოსაწესრიგებლად შექმნილია კერძო მეწარმეების ეროვნული ფედერაცია.

1984 წლის ბოლოდან ჩინეთის ეკონომიკაში შეინიშნება „რიგი ახალი დესტაბილიზირების ფაქტორები“.

ჩინეთში გატარებული რეფორმა შეეხო ეკონომიკის ყველა მხარეს: დაგეგმვას, ფინანსებს, მართვისა და საქონელბრუნვის სფეროს, დაბეგვრას, საგარეო ვაჭრობას.

დღეისათვის ჩინეთის ეკონომიკური მოდელის საფუძველს წარმოადგენს „გეგმიანი სასაქონლო მეურნეობა“. ვითარდება საკუთრების სამი ფორმა: სახელმწიფო, კოლექტიური და კერძო.

რეფორმის ძირითადი საკითხია „საკუთრებისა და მეურნეობრიობის უფლებათა გამიჯვნა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაბრიკები, ქარხნები, მიწა და ა. შ., სახელმწიფო საკუთრებაში რჩება, ხოლო სამეურნეო საქმიანობა მთლიანად საწარმოთა და ცალკეულ გლეხურ ოჯახთა საქმედ

იქცევა. თვითონ მეურნეობრიობის ფორმები კი მრავალნაირია, იქამდეც კი, რომ დაშვებულია რაიმე საქმიანობის, საამქროს იჯარით აღება, აქტიონერული საწარმოს შექმნა, მცირე ოდენობის სამუშაო ძალის დაქირავებაც კი.

ჩინეთში არსებობს ხუთი ბაზარი: წარმოების საშუალებების, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ფინანსების, შრომითი რესურსების, მასობრივი მოხმარების საქონლის. მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე ჩინეთში თითქმის ყველაფერი საქონლის სახეს იღებს, ეს იქნება ლითონი

ნი თუ ახალი ტექნოლოგია, აქციები თუ სამუშაო ძალა.

საწარმოებს მიეცათ უფლება, გამოიყენონ მოსახლეობის საშუალებანი: ბრუნვაში გაუშვან აქციები, ფასიანი ქაღალდები. აქციების ყიდვა ყველას შეუძლია, მას ყიდულობენ ამავე ქარხნის მუშებიც, რომლებიც შემდგომში დაინტერესებული არიან თავისი საწარმოს კარგი მუშაობით.

საწარმოები, რომლებიც ვერ დაადასტურებენ თავიანთ სიცოცხლისუნარიანობას, ცხადდებიან გაკოტრებულად. უკანასკნელ ხანს ჩინეთის 11 ქარხანამ მიიღო მკაცრი გაფრთხილება. მათ ვადა დაუდგინეს საქმის გამოსწორებისათვის. შანხაის ერთი მცირე მოცულობის ქარხანა უკვე გაკოტრდა.

1986 წლის ოქტომბერში ოფიციალურად დამკვიდრდა მუშების დაქირავების სისტემა კონტრაქტით — საკონკურსო შერჩევის წესით. რეფორმამდე ასეთი წესი არსებობდა: მუშასთან იღებოდა ხელშეკრულება მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე მოცემულ საწარმოებში სამუშაოდ, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი ეს ადგილი მემკვიდრეობით გადადიოდა მის შვილზე. ამჟამად ეს წესი გაუქმებულია.

საწარმოს ღირებურობაზეც კონტრაქტი იღება ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან, როგორც წესი, 4 წლის ვადით. 2 წლის შემდეგ ღირებურობის მუშაობა მოწმდება და იგი, თუ შესაძინევ წარმატებებს ვერ მიაღწია, შეიძლება გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან, ან დასაჯონ ადმინისტრაციულად. ამიტომ ღირებურობის სურვილი ბევრს არა აქვს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც 3 ათასამდე მსხვილ და საშუალო სიდიდის საწარმოს შეეხება, 1985 წლის დასაწყისისათვის ხელმძღვანელი კა-

# რა ხდება ჩინეთის ეკონომიკაში?

## ვაჭრობაში?

ღრები დაკომპლექტებული იყო მხოლოდ 60 პროცენტით.

ღირებურობი დაინტერესებული იმით, რომ საწარმო მუშაობდეს მომგებიანად, რადგანაც მთელი კოლექტივის კეთილდღეობა დამოკიდებულია მოგებაზე, კერძოდ, მის იმ ნაწილზე, რომელიც საწარმოს რჩება აუცილებელი ბეგარისა და ანარიცხების გადახდის შემდეგ, რაც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს. მაგალითად, ხარბინის სელის კომბინატს აქვს 7 საერთოსახელმწიფოებრივი და 4 ადგილობრივი დასახელების გადასახადი. რა თქმა უნდა, ეს ბევრია.

ასეა თუ ისე, ყოველი მილიონი იუანი მოგებიდან საწარმოს რჩება დაახლოებით 280 ათასი იუანი (ცნობისათვის — ამჟამად 100 იუანი უდრის ჩვენს 17 მანეთსა და 39 კაპიკს). ამ ფულით უნდა მოხდეს საწარმოს ტექნიკური გადართობა, აშენდეს საცხოვრებელი სახლები, გაკეთდეს გადარიცხვები მუშათა ცოდნისა და განათლების, მატერიალური წახალისების ფონდებში. ხშირად სოციალური საკითხების გადაწყვეტამდე საქმე არც მიდის. მისთვის საწარმოს ფული აღარ რჩება.

ჩინეთში არ არსებობს ერთიანი საპენსიო სისტემა. პენსიას მუშას წარმოება უხდის თავისი მოგებიდან, რაც მძიმე ტვირთად აწევა მის ეკონომიკას. რაც შეეხება კოლექტიური და კერძო საკუთრების მუშაკებს, ისინი საერთოდ არ იღებენ პენსიას.

ბინის პრობლემა ჩინეთში ვერაფრით გართულებულია. თუ მუშა განთავისუფლდა სამსახურიდან, ბინა უნდა დატოვოს. ამიტომაც საკუთარი სურვილით სამსახურის დატოვება იშვიათი შემთხვევაა. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ იქ სამსახურის

თანხმად „ავტოვატექნიკომსახურება“ ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შეკვეთები, გამოძახებები სპეცავტოცენტრის სადისპეტჩერო სამსახურის მეშვეობით (ტელ. 72-28-22). კოოპერატივი ვალდებულებას იღებს, უზრუნველყოს საწარმო გარკვეული სათადარიგო ნაწილებით, ინსტრუმენტით, საფირმო ტანსაცმლით.

კოოპერატივი ვალდებულია, ზუსტად აღრიცხოს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და მომხმარებელს მოემსახუროს კულტურულად, დაზო-

გოს მუშა-მოსამსახურეთა თავისუფალი დრო. ასეთი ორმხრივი შეთანხმება თავისთავად წარმოშობს ჯანსაღ კონკურენციას, რაც განაპირობებს მომსახურების კულტურის დონის ამაღლებას.

ამჟამად, დღის წესრიგში დგას სხვადასხვა ახალი კონსტრუქციის, მარკისა და მოდელის ავტომობილის შექმნა. მათი მომსახურებისა და რემონტისათვის საჭიროა სათანადო კვალიფიკაციის, თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული საწარ-

მო და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი. მათი მომზადება ხდება როგორც „ვოლჟსკის“ საავტომობილო ქარხანაში, ისე თბილისის სპეცავტოცენტრში გახსნილ სპეციალურ კურსებზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ მარკის ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის სათანადო კადრების მომზადებას, რომელიც ახალგაზოგულთა ან ახლო მომავალში უნდა გამოვი-

დეს (ვაზ-2108, ვაზ-2183, ვაზ-2109, ვაზ-21093).

1986 წელს ვოლჟსკის საავტომობილო ქარხანასა და თბილისის სპეცავტოცენტრში ამ მიზნით მომზადდა 51 შემკეთებული და 15 ინჟინერ-ტექნიკოსი. მომსახურების საფირმო ქსელმა აუცილებლად უნდა უზრუნველყოს თანამედროვე „ჟიგულის“ მარკის ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე ნებისმიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება.



შესრულდა 100 წელი სახელგანთქმული ბრაზილიელი კომპოზიტორის — ეიხორ ვილა-ლობოსის დაბადებულად.

ე. ვილა-ლობოსი მუსიკას ადრეულ ასაკში, მამის დახმარებით დაეუფლა. ექვსი წლისა უკვე ვიოლონჩელზე, ხოლო რვა წლიდან — გიტარაზეც უკრავდა. მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი კომპოზიტორები და პედაგოგები ფ. ბრაზილი და ე. ოსვალდი. შემდეგში ლობოსი ხვდება ფრანგ კომპოზიტორ ლ. მონს და სახელგანთქმულ პიანისტ არტურ რუბინშტეინს, რომელმაც მალევე შეფასება მისცა ახალგაზრდა მუსიკოსს და მატერიალური დახმარებაც გაუწია სწავლის გასაგრძელებლად. 1921 წელს ვილა-ლობოსი გაემგზავრა პარიზს, სადაც დაუახლოვდა თანამედროვეობის უდიდეს მუსიკოსებს — მ. რაველს მ. დე ფალიას, დე ენგის, ს. პროკოფიევს და სხვებს, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს მის შემოქმედებაზე. 1945 წელს კომპოზიტორის ინიციატივით შეიქმნა ბრაზილიის მუსიკალური აკადემია, რომლის პრეზიდენტაც იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ვილა-ლობოსის მოღვაწეობამ ფართო აღიარება პპოვა, როგორც მუსიკოსის სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. იგი იყო მრავალი მუსიკალური აკადემიის საპატიო წევრი: ბუენოს-აირისისა და ნიუ-იორკის ხელოვნების, რომის სანტა ჩეჩელის, საფრანგეთის აკადემიების, ზალცბურგის მუსიკალური ფესტივალის უიურის საპატიო წევრი, იუნესკოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

ძალზე დიდია ვილა-ლობოსის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა ნუსხა, რომელთა საერთო რაოდენობა ორი ათასს აღწევს და თითქმის ყველა უანრს მოიცავს. მათგან შეგვიძლია გამოვყოთ: ცხრა ოპერა, თხუთმეტი ბალეტი, თორმეტი სიმფონია, თვრამეტი სიმფონიური პოემა, სამოცზე მეტი სხვადასხვა კამერული თხზულება, სონატები, ტრიო, კვარტეტები, სიმღერები, რომანსები, საგუნდო ნაწარმოებები, პიესები ცალკეული ინსტრუმენტებისათვის, ათეულობით საბავშვო პიესა. გარდა ამისა, კომპოზიტორმა დაამუშავა სამასზე მეტი ხალხური და საცეკვაო მუსიკა. ვილა-ლობოსის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მრავალტომიანი კამიტალური შრომა „ფოლკლორის შესწავლის პრაქტიკული სახელმძღვანელო“, რომელიც მუსიკალური აღზრდის ქვაკუთხედად ითვლება.

ვილა-ლობოსმა საგიტარო პიესების წერა ჩვიდმეტი წლის ასაკიდან დაიწყო. თითქმის ყველა საგიტარო ნაწარმოებზე სეგოვიას ზეგავლენით შექმნა და მას მიუძღვნა, მათ შორის — კონცერტი გიტარისათვის ორკესტრთან ერთად, „ბრაზილიური სუიტა“, ვალსი „შორო“, ტრანსკრიპციები ორი გიტარისათვის, ხუთი პრელუდი და თორმეტი ვირტუოზული ეტიუდი, რომლებიც ბრწყინვალე საგანძურს წარმოადგენენ მსოფლიო საგიტარო ლიტერატურაში. თუ პრელუდიებში ბრაზილიური საწყისი რომანტიულ სტილშია წარმოდგენილი, ეტიუდების მნიშვნელობა სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს, რომლებიც კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენენ გიტარის, როგორც საერთო ეროვნული საკონცერტო ინსტრუმენტის სტატუსს. გარდა ორიგინალური ნაწარმოებებისა, მუსიკოსმა გიტარისათვის დაამუშავა ბახის, ჰენდელის, ჰაიდენის, შოპენისა და სხვათა პიესები. სიცოცხლის ბოლო წლებში კომპოზიტორი საგიტარო ნაწარმოებებს აღარ ქმნიდა, რადგან მიაჩნდა, რომ მისი საფორტეპიანო პიესებიც კარგად იწყობოდა გიტარისათვის. ე. ვილა-ლობოსი გარდაიცვალა 1959 წლის 22 ნოემბერს.

გივი თუშივილი.

ურნეობის პროდუქციას, აწარმოებს სამშენებლო მასალებს, სახალხო მოხმარების საგნებს. მეექვსე ხუთწლედში ამ გზით წარმოებაში ჩართეს 70 მილიონი ადამიანი. ამით ასე თუ ისე სრულდება მათი პარადოქსული ლოზუნგი: თუ მიატოვებ მიწას, არ მიატოვო მშობლიური მხარე“.

საოჯახო იჯარის შემოღებამ გამოიწვია სამუშაო ძალის გამოთავისუფლება. ამჟამად სოფლად არის 370 მილიონი შრომისუნარიანი ადამიანი და მთავარ ყოველი მესამე ზედმეტი სამუშაო ძალაა. სოფლის ახალგაზრდობისა და საშუალო ასაკის ადამიანთა 30 პროცენტი ან მთლიანად გაუნაალებელია ან ხანგრძლივანათლებული.

ჩინეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ ბევრი გადაუღასავი პრობლემაა: მეურნეობრიობის ჩამორჩენილი მეთოდები, ხელით შრომა, საირიგაციო ქსელის სისუსტე, ნიადაგის გამოფიტვა. ყოველივე ამის გამო ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ერთი ჩინელი გლეხი დღეისათვის კვებას სამ ადამიანს (ინდოეთში, იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად უდრის 5, 22 და 67 ადამიანს).

არცთუ ისე დიდი დროა გასული ჩინეთში ეკონომიკური რეფორმის დაწყებიდან. მისმა გატარებამ ბევრი კარგი შედეგი აჩვენა (წარმოების, აგრეთვე ხალხის კეთილდღეობის ამაღლება), მაგრამ გამოამჟღავნა უარყოფითი მოვლენებიც (დროებით დაუსაქმებელთა ზრდა, ფასების ზრდა, საზოგადოების გარკვეული ფენის გამდიდრება), რამაც გამოიწვია ახრთა სხვადასხვაობა ჩინეთის ხელმძღვანელობაში. რეფორმის არსსა და მიმდინარეობას, რაკი ის უფრო მეტი დემოკრატიზაციის საფუძველზე ვითარდება, ბურჟუაზიული ლიბერალიზმი შეარქვეს. ხელმძღვანელობის ერთი ნაწილი წინააღმდეგია მიმდინარე გარდაქმნებისა. მათ, ე. ი. მკაცრი კურსის მომხრეებმა, მიმდინარე წელს დააწესეს კონტროლი პრესაზე. ეკონომიკური გარდაქმნის მომხრე რედაქტორები გაათავისუფლეს თანამდებობებიდან, ზოგიერთი ასეთი განხეთი კი საერთოდ გააუქმეს.

გაზეთი „უენმინ ჟიბაო“ მოითხოვს, რომ იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობდეს მხოლოდ პარტიასა და „ეკონომიკაში“.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ პენ ჯენმა დეპუტატების ჯგუფის წინაშე გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ ჩინეთში მიმდინარე ბრძოლას „ბურჟუაზიული ლიბერალიზაციის“ იდეური მიმდინარეობის წინააღმდეგ პირდაპირი კავშირი აქვს საკითხთან — რომელი გზით უნდა წავიდეთ?

მისი აზრით, „ბურჟუაზიული ლიბერალიზაცია“, დასავლეთის მთლიანი კოპირება იწვევს სოციალისტური წყობილების უარყოფას და კაპიტალისტური წყობილებისათვის მხარის დაჭრას. ეს რეფორმა კი არა, კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებაა, ხოლო ჩკპ-ის წევრებისათვის — პარტიის წესდების დარღვევა. ამიტომ, ისინი, ვინც კაპიტალისტურ გზას ქადაგებენ, მხოლოდ კონსტიტუციას კი არ არღვევენ, არამედ ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგაც გამოდიან.

გივი ვოშაძე,

ეკონომიკურ მენეჯერებათა დოქტორი, პროფესორი.

შოგნა პრობლემაა. ამიტომ ის, ვინც სხვა ქალაქში გადადის საშუალოდ, ბინის გადაცემასთან დაკავშირებით განცხადებაში მოიხსენიებს აგრეთვე თავის თანამდებობასა და სპეციალობას, რადგანაც ბინის გაცვლა შესაძლებელია მხოლოდ სამსახურთან ერთად. ბინისა და სამსახურის დაკარგვისა ყველას ეშინია.

ჩინეთის მოსახლეობა უფრო ეტანება იაფფასიან, მუქ, უბრალო ქსოვილებს. ძვირადღირებულს მდიდრებიც კი არ ყიდულობენ. მათაც ძალიან სადად აცვიათ. თვითონ სახელმწიფოს პასუხისმგებელი ჩინოვნიკებიც ასევე იქცევიან.

უმალესი სკოლა სტუდენტებს სტიპენდიებს არ აძლევს. კარგი სწავლის წახალისების მიზნით ფრიადოსან სტუდენტებს ფულადი პრემიები ეძლევათ. ამიტომაც ზოგიერთებს მშობლები ინახავენ, ზოგი კი უპროცენტო სესხს იღებს ბანკში, რომელსაც ის გადაიხდის შემდეგ, მუშაობის რომ დაიწყებს.

ჩინეთის სოფლის მეურნეობაში მკვეთრი შემობრუნება 1979 წლიდან იწყება. მანამდე სოფლად, სადაც 800 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, სასოფლო-სამეურნეო კომუნები არსებობდნენ, რომლებმაც მშრომელ ადამიანს ყოველგვარი დაინტერესება დაუქარგეს. საჭირო იყო ამის დაძლევა ისე, რომ მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრება შეენარჩუნებინათ. ეს მათ მოახერხეს: შეინარჩუნეს კოლექტიური საკუთრების უფლება მიწაზე და მეურნეობრიობის უფლება გადასცეს ცალკეულ ოჯახებს ე. წ. „ოჯახური იჯარის“ საფუძველზე.

რეფორმის შედეგები ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თვალსაჩინოა: მრავალი საუკუნის მანძილზე აქ პირველად არ არიან მშვიდრები, ქვეყანა პრაქტიკულად უზრუნველყოფს თავის თავს ხორბლით, კვების პროდუქტებით, ზრდის მათ ექსპორტს. გასულ წელს ჩინეთმა აიღო 400 მილიონი ტონამდე ხორბალი, 3,5 მილიონი ტონა ნედლი ბამბა.

საგრძობლად გაუმჯობესდა ჩინეთის სოფლის ცხოვრება. თუ 70-იან წლებში კეთილდღეობის მაღალი დონის მაჩვენებელი იყო სამი პრესტიჟული ნივთი — ველოსიპედი, საათი და საკერავი მანქანა, შემდეგ — ვენტილატორი, დივანი და შავთეთრი ტელევიზორი, დღეს მათ მიემატა: მაცივარი, სარეცხი მანქანა და ფერადი ტელევიზორი.

ჩინეთში ზოგიერთი ხელმძღვანელი ასე ფიქრობს: ჯერ კარგ ცხოვრებამდე უნდა მივიდეს მოსახლეობის ნაწილი, შემდეგ კი ყველა დანარჩენი. ჩინეთის ხელმძღვანელობა ბევრ ძალ-ღონეს ხარჯავს, რათა გლეხობას შთაუწეროს აზრი: „უნდა ვისწრაფეთ საერთო სიმდიდრისაკენ იმ შიშის გარეშე, რომ რომელიმე სხვაზე ადრე გამდიდრდება“.

ჩინეთის სოფლის სპეციფიკას განსაზღვრავს მუშახელის დიდი სიჭარბე. სახელმწიფო ცდილობს, ყველას მოუძებნოს სამუშაო, მაგრამ ჯერჯერობით ამას ის სრულად ვერ ახორციელებს. ერთი რამ, რაც დამაფიქრებელია ჩინეთის სოფლის მეურნეობის არსებულ მდგომარეობაში ის არის, რომ თვითონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვი მცირეა. მაგალითად, ერთ თემში, სადაც 12 ათასი მაცხოვრებელია, მიწის დამუშავებით დაკავებულია 1300 კაცი. დღევანდელი სოფელი გადაამუშავებს სოფლის მე-


1949 წელს დაბადებული ფრანგი დიდი დენინგის კრიმინალური რომანების ერთ-ერთ მრავალსაღმთქმელ ავტორად არის მიჩნეული. 1984 წელს წიგნისთვის — „მკვლელობა, რომელიც მესხიერებამ ჩაიდინა“, მან მიიღო კრიმინალური ლიტერატურის დიდი პრიზი, აგრეთვე — გაზეთ „იუმანიტეს“ პრემია. ჩვენი ურნალის მკითხველთათვის წარმოდგენილი მოთხრობა კი 1986 წელს გამოაქვეყნა ყოველკვირეულმა „იუმანიტე დიმანში“.

პირველად მას მერე, რაც საკუთარი ცოლი უგზო-უკვლოდ დაკარგა, უორე ფოსონმა შევბუღებაში გასვლა გადაწყვიტა. მანამდეც მრავალჯერ გადაუწყვეტია, მაგრამ მცირედი მიზეზიც კმაროდა განზრახვის უარსაყოფად: რომელიმე კატის ავადმყოფობა, ცნობა ტერორიზმის ახალ ტალღაზე, ამინდის უნუგეშო პროგნოზი... ამჯერად, ყოველივე გულმოდგინედ უზრუნველყო — ავტომობილის ტექნიკური შემოწმებიდან ჩემოდნების შესყიდვამდე, და თუმცა თვითონვე თხზავდა ათსგვარ წინააღმდეგობას საკუთარი თავისთვის, ასევე თავადვე სძლედა ხოლმე მათ ზედიზედ, შევებით ამოსკვნილი ოხვრის თანხლებით. ასე და ამრიგად, საქმე იმ მნიშვნელოვან მომენტამდე მიდგა ბოლოს, რომ შეკრა ბარგი და „სიტროენში“ ჩატვირთა.

დარაბები მიხურა, წყალი გადაკეტა, გამორთო სინათლე და გაზი, დააგროვა საკვების მარაგი კატებისთვის. ერთი მეზობელი თავზიანად დათანხმდა ამ ოჯახური ცხოველების ღრობებით შეკვლევას პატრონის არყოფნისას. უორე ფოსონმა მოახერხა მათი დაქერა საბაზანოში. საამისოდ იძულებული გახდა, ვარდისფერ ფარდაზე გაწოლილიყო და ხელები აბაზანის ქვეშ შეეფათურებინა, მერე — წინა ფეხებით სათითოდ გამოათარია და ჩატენა მოწინულ კალთაში.

უორე ფოსონი სახლიდან გამოვიდა. ნელა გადაკრა ბოსტანი. შეათვალიერა ფორიანი ხახვის, პამიდორის, სტაფილოს უნაკლო, სწორხაზოვანი კვალ-ხნულები. სანამ შეამოწმებდა, კარგად გამოკეტა თუ არა კარი, გრუხუნა ბუღელოზებებმა გაავსეს მთელი ქუჩა. შავი ასობით აქრელებული უზარმაზარი ყვითელი ტაბლო იუწყებოდა, რომ უნდა გაეყვანათ 850 მეტრის სიგრძის საკანალიზაციო მილი ლასალის ქუჩასა და 1945 წლის რვა მარტის სახელობის ქუჩასთან მიმდებარე კოლექტორს შუა: ყოველივე ეს ჩართული იყო სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის გეგმაში.

სახლის პირდაპირ, ბაქანზე, ელოდა უორეს მეზობელი წინასწარ მომზადებული ფრაზეებით ამინდზე, ამინდი კი უკვე იღარებდა. აგრეთვე, საუბრობდნენ ტრანსპორტით გადატვირთული მავისტრალების თაობაზე, ნელ-ნელა რომ თავისუფლდებოდა... მეზობელმა კატები წიყყანა, უორემა გაზის პედალს დააჭირა ფეხი და გასრიალდა. საღამომდე არსად გაჩერებულა, ისე მიჰქროდა. არც რაიმე



# საქმე

ყურადღება მიუქცევია ფართო ასფალტირებული გზატკეცილის აქეთ-იქით ცვალებადი წარმტაცი პეიზაჟისათვის. ფრიად გაუკვირდა კიდეც, როცა შიმშილით გაწამებულმა ანაზად ავინონის მხარეს ჩასახვევად შუქნიშანიც კი ანთო. აბტუს მიმართულებით გასწია და გორდის მახლობლად რესტორნიან სასტუმროსთან გაჩერდა. და მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც ფეხებმა თავისით გაიყვანეს ქუჩის გზაზე, აზრზე მოვიდა: იმ სოფლისკენ მიდიოდა, საიდანაც იყო წარმოშობით მისი ცოლი. აქეთკენ ერთად არასოდეს წამოსულან, მაგრამ ყვითელი გორაკები და შორეული ციკაბო ფერდობები, რომელთა შესახებაც იმას ხშირად უამბვნიდა ხოლმე, ერთობ ნაცნობად ეჩვენა უორეს.

გახსენდა — აქ ადრე პოლიციელებიც ჩამოსულან ადგილობრივი მოსახლეობის დასაქითხად კლარას დაკარგვის შემდეგ. და ეს ამბავი, ალბათ, დღესაც მოუღვევლ საჭორაო თემად რჩებოდა აქაურ პროვინციულ ოჯახებში. უორე ფოსონი სასტუმროში დაბრუნდა. მერე, ისევ ჩააწყო ჩემოდნები საბარგულში. სამი დღის განმავლობაში სერავდა მიმდებარე ალპურ გზებს, ოღონდ, გონების თვლით კი განუწყვეტლივ დასტრიალებდა კლარას... და სახლ-კარს რომლის მიტოვებაც არ ეპატიებოდა.

რაცაინარმა წინათგრძნობამ აიძულა, მთავარ გზატკეცილზე გამობრუნებულიყო.

მეორე დღით უკვე საკუთარი ეზოს კარს რომ მიაღწა, სულაც არ გაკვირვებია კრიმინალური პოლიციის კომისარ ველგენის დახვედრა. ექსკავატორი „პოკლენი“ ბაღჩაში მუშაობდა — ლითონის კბილებით ღრუნოდა ხნულებს. მემანქანე გროვავროვად ჰყრიდა მიწას, მუშების გგუფი კი წერაქვით შლიდა ამონათხარს. კომისარმა შინ შეიყვანა. საკუთარ საწერ მაგიდაზე, ლამფის გვერდით მწვანე დასადგამზე, უორეს თვალში ეცა მიწისფერი თავის ქალა. მოულოდნელობისგან ელდა ეცა და მან აღიარა ჩადენილი ბოროტმოქმედება. თავის ქალა წინა საღამოს ამოვლოთ ხახვის მონაკვეთიდან. ერთ-ერთ მანქანას მახლობელ ობიექტზე მუშაობისას შემთხვევით დაეზიანებინა გაზის გაყვანილობა, რომელიც საერთოდ არ ყოფილა ადნიშნული კანალიზაციის ღირექციის გეგმაში. რემონტის გამო საკმაოდ დიდ მანძილზე გადმოვნაცვლათ აქეთკენ — უორე ფოსონის ბაღჩასთან.

აღიარებიდან ორი დღის შემდეგ იპოვნეს მეორე ქალა. უორე ფოსონი ჩიუტად უარყოფდა, აი ამ დანაშაულთან კი ნამდვილად საერთო არაფერი მაქვსო ისევე, როგორც იმ 172 კაცის მკვლელობასთან, რომე-

ლთა გვამთა ნარჩენებიც აღმოაჩინეს შემდგომში მის ნაკვეთზე.

ერთ-ერთი მეექვსეკავატორე ფრიად განაცვიფრა ქვის ფილათა სიმრავლემ ნილაგის თიხოვან მასაში და, რაც მთავარია, მათმა თანაბარმა განლაგებამ...

ქვის ფილები აღნიშნავდნენ ადგილს, რომელიც დღეს ვენერას ტალანის სახელწოდებით არის ცნობილი. გვერდითვე გათხარეს შთამბეჭდავი ზომის რომაული ვილა. თავის ქალთა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ეს ნაპოვნი, უკლებლივ, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეს განეკუთვნებოდა. კიდეც უფრო ძალუმად განავრძეს თხრა — კლარას ნეშტს დაეძებდნენ, მაგრამ ამოოდ. დამატებით კიდეც აღმოაჩინეს ერთი პოლიკლეტის შუბი ჩაყენილი იარაღ-საჭურველი და ბრინჯაოს ნივთები.

თითქოს ენა გადაყლაპათ, უორე ფოსონი საკუთარ თავში ჩაიკეტა, დაუღუმა... კლარას გვამის რაიმე კვლასაც კი ვერსად მიაკვლიეს. ოღონდ აი, ის, ას სამოცდამეათეუთმეტე თავის ქალა თუ არ აღმოჩნდა რომელიც სწორედ, ეს-ეს არის ამოლო მიწიდან ახალგაზრდა არქეოლოგმა და ხელისგულებში მოქცეულს, მოაარწევდა ფრთხილად, ვითარცა ზვარაყადშესაწირს!


თარგმნა ვასილ მველინიძემ.



იხილ ბოტინიკს, სანამ იგი მსოფ-  
ფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებ-  
და, მაინც და მაინც როდი გაუწევი-  
ვრებია ჟურნალისტები. მდგომარეო-  
ბა მას მერე შეიცვალა, 60 წელს მი-  
ღწეულმა გამოჩენილმა დიდოსტატმა ჯადარაყის  
თამაშს თავი რომ დაანება. დადგა წარსული მატ-  
ჩებისა თუ ტურნირების გახსენების დრო. „ხუმ-  
რობა საქმე ხომ არ არის, მარტო მე და ვასილ  
სმისლოვმა ასამდე პარტია ვითამაშეთ“, — გვი-  
თხრა ერთხელ ბოტინიკმა.

როდესაც ამ რამდენადმე ზოგადი ფრაზის და-  
ზუსტება მოვიწოდებ და მსოფლიოს ამ ორი ექს-  
ჩემპიონის მიერ ერთმანეთთან ნათამაშევი ყველა  
პარტია შევკრიბე, გამოვიდა, რომ ბოტინიკი და  
სმისლოვი მსოფლიო პირველობის სამ მატჩში და  
სხვადასხვა ტურნირში სულ 98-ჯერ შეხვედრიან  
ერთმანეთს, უფრო მეტჯერ, ვიდრე საქადრაკო  
გვირგვინის სხვა მფლობელები.

დიდხანს წარმოუდგენლად მიგვაჩნდა, რომ ახლა,  
ჯადარაყის უდიდესი განვითარების ეპოქაში, ვინ-  
მეს შეეძლო ამ რეკორდის მოხსნა — მსოფლიო  
პირველობაზე გამართული სამი მატჩი, ზედღებულ და,  
თანაც, ერთი და იგივე დიდოსტატების მონაწილე-  
ობით!



მედიკალი  
გეგლიციონი

**მსოფლიო პირველობაზე გატყინს წინ**

**კასპაროვ-კარპოვი  
100 პარტიის უპეივო**

მაგრამ ის, რაც მანამდე თითქმის დაჯერებულ  
ფაქტად მიგვაჩნდა, ახლანა დავიჯერეთ: 1984-  
1986 წლებში ანატოლ კარპოვმა და ვარი კასპა-  
როვმა ასევე სამ მატჩში იბრძოლეს, ამა წლის სექ-  
ტემბერში მეოთხედ შეხვედრიან ერთმანეთს, სულ  
კი ერთმანეთთან ზუსტად 100 პარტია ითამაშეს.  
თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ კარპოვი 36 წლისაა,  
კასპაროვი კი მხოლოდ 24-ისა და უშუალო მეტო-  
ქე, როგორც ირკვევა, არა ჰყავთ, მამასადამე,  
მათი დედა კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელდეს  
ზოგიერთი საქადრაკო ექსპერტის აზრით, საუკუ-  
ნის დასასრულამდე მხოლოდ კასპაროვი და კარ-  
პოვი ითამაშებს მატჩებს მსოფლიო პირველობაზე.  
ეს ვარაუდი კიდევ რომ არ გამართლდეს, ერთი  
რამ ცხადია: ამ გამოჩენილმა დიდოსტატებმა მთე-  
ლი ეპოქა შექმნეს ჯადარაყში და მანამდე არსებუ-  
ლი რეკორდები მოხსნეს.

როდესაც ახალგაზრდა მოსკოველმა დიდოსტა-  
ტმა ანდრეი სოკოლოვმა ჯერ მსოფლიო პირვე-  
ლობის ზონალური ტურნირი მოიგო, ხოლო შემ-  
დეგ საზონალური შეჯიბრებაც, მატჩებში  
თანმიმდევრულად დაამარცხა რაფაელ ვაჰანიანიცა  
და არტურ იუსუპოვიც, შეიძლებოდა გვეფიქრა,  
რომ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინს ახალი პრე-  
ტენდენტი გამოუჩნდა. მაგრამ სოკოლოვის მატჩ-  
მა კარპოვთან დაამტკიცა, რომ ახალგაზრდა დიდ-  
ოსტატს ჯერ კიდევ ბევრი შემოქმედებითი თუ  
სპორტული ზღუდის დაძლევა მოელის და ჯერ-  
ჯერობით კასპაროვისა და კარპოვის კონკურენტი  
არ გახლავთ.

აი, რას წერდა ამსტერდამის გაზეთ „ფოლფსკრა-  
ნტის“ მიმომხილველი, საერთაშორისო ოსტატი  
ჰანს ლიპტერნი: „კარპოვი ბოლო ხანს ბევრს  
მუშაობს საკუთარი ფიზიკური მომზადების დო-  
ნის ასამაღლებლად. ეს კარგად გამოჩნდა მის უკა-  
ნასკნელ მატჩში ვარი კასპაროვთან და ახლაც, ლი-  
ნარესში სოკოლოვთან შეხვედრისას, სადაც გარე-  
გნულად თითქმის სუბტილური მსოფლიოს ექს-  
ჩემპიონი, სწორედ თამაშის მეხუთე საათზე ჯობ-  
ნიდა გოლიათური აღნაგობის ახალგაზრდა მე-  
ტოქეს“.

ერთი სიტყვით, სრულიად ცხადია და არავინ

დავობს, რომ ანატოლ კარპოვი გახლავთ თანამე-  
დროეობის № 2 მოჭადრაკე და პირველობის  
პრეტენდენტი. დიახ, ეს ასეა. მაგრამ როგორიღაა  
მსოფლიოს № 1 მოჭადრაკის, ჯადარაყის გვირგვი-  
ნის მფლობელ ვარი კასპაროვის მზადყოფნა?

კარპოვის მსგავსად კასპაროვიც მიხილ ბოტ-  
ინიკის მოწაფე იყო. ბოტინიკი მოჭადრაკეებს,  
საერთოდ, ორ ჯგუფად ჰყოფს: **პრაქტიკოსებად**,  
რომლებიც განუწყვეტლივ თამაშობენ და სწორედ  
ეს მიანიათ დახელოვნების ერთადერთ გზად, და  
**მკვლევარებად**. მკვლევარი მოჭადრაკე ბევრს არ  
თამაშობს, გაცილებით მეტ დროს საკუთარ შემო-  
ქმედებით ლაბორატორიაში ატარებს, სწავლობს  
უშუალო მეტოქეთა პარტიებს, ამზადებს არაერთ  
თეორიულ „ნაღმს“.

ბოტინიკის აზრით, კარპოვმა პირველი გზა  
აირჩია და დღეისათვის წმინდა პრაქტიკოსი მო-  
ჭადრაკეა, კასპაროვი კი სრული შემოქმედებითი  
ანტიპოდი გახლავთ.

თუკი კარპოვი ნამდვილად განუწყვეტლივ მონა-  
წილობს სხვადასხვა ასპარეზობაში, კასპაროვმა,  
მაგალითად, წელს მხოლოდ ორჯერ ითამაშა. დი-  
დი ინტერესი გამოიწვია მისმა გამოსვლამ ბრიუ-  
სელში, სადაც 10 გამოჩენილი დიდოსტატი და  
ორი ადგილობრივი ოსტატი შეხვდა ერთმანეთს.

სწორედ აქ გათამაშდა კარპოვის და კასპაროვის  
მეცამე პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა. კას-  
პაროვი ბრიუსელში ლიუბომირ ლიუბოვიჩთან  
ერთად პირველ-მეორე ადგილზე გამოვიდა და კარ-  
პოვს ერთნახევარი ქულით გაუსწრო.

მეტად საინტერესო გამოდგა ტურნირის შემდ-  
გომ 12 დიდოსტატის შეჯიბრი (ორ წყრედ) ელვი-  
სებურ თამაშში (აქ მეტოქეებს თვითველ პარტია-  
ზე მხოლოდ 5 წუთი ეძლევათ). კასპაროვმა კვლავ  
გაუსწრო მეტოქეს, თუმცა ბლიცით ნათამაშევი  
ორი პარტია რომელთაგან ერთი მსოფლიოს ჩემ-  
პიონმა მოიგო, მეორე კი ყაიმით დამთავრდა,  
საერთო ჩათვლაში არ შედის. ერთი სიტყვით,  
100 აღრიხდელ პარტიას არაფერი მიემატა.

100 პარტია! აქედან კასპაროვმა მოიგო 13,  
კარპოვმა — 12, 75 კი ყაიმით დასრულდა. რაიმე

შესამჩნევ უპირატესობაზე ლაპარაკიც კი ზედმე-  
ტია. და სწორედ ეს გარემოება, ცხადია, კიდევ  
უფრო ზრდის მომავალი მატჩისადმი ინტერესს.

მსოფლიო პირველობისათვის მზადების პერიოდ-  
ში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოჭადრაკის  
„შტაბის“ შემადგენლობას. კასპაროვს, როგორც  
ყოველთვის, მხარში უდგას მისი აღმზრდელი და  
მასწავლებელი, ოსტატი ალექსანდრე ნიკიტინი.  
არ ყოფილა თუნდაც ერთი თელსაჩინო ასპარე-  
ზობა, ნიკიტინს მისთვის ქმედითი დახმარება რომ  
არ გაეწიოს.

კარპოვს, როგორც ყოველთვის, მრავალნაწილი  
დიდოსტატი იგორ ზაიცევი ეხმარება. ათი წლის  
მანძილზე ატარა კარპოვმა მსოფლიოს ჩემპიონის  
ტიტული, ემზადებოდა ფიშერის წინააღმდეგ სა-  
თამაშოდ, ორჯერ დიდ მატჩში შეხვდა კორჩნოსს,  
იასპარეზა დიდძალ საერთაშორისო ტურნირში და  
მის გვერდით მუდამ ზაიცევს ვხვდავდით.

უკვე ერთი წელია კარპოვის „შტაბში“ საპატიო  
ადგილი დაიმკვიდრა ჩვენმა თანამემამულემ, სა-  
ერთაშორისო ოსტატმა ელიზბარ უბილაძემ. ელიზ-  
ბარი ადრე კარგა ხანს ნონა გაფრინდაშვილს ეხ-  
მარებოდა და, შეიძლება ითქვას, სამაგალითო  
მწვრთნელიც არის. შესანიშნავად არჩევს გადაღე-  
ბულ პოზიციებს. თუ საჭიროა, რომელიმე პოზი-  
ციის შესწავლას. თვეებსაც მოაწოდებებს, გააჩნია  
მალალი სადებიუტო კულტურა, ავტორია მრავალი  
ორიგინალური გამოკვლევისა, რომელთაც, ცხა-  
დია, გადასცემს კარპოვს. ყოველივეს ნამდვილ  
ფასს მოგვიანებით შევიტყობთ.

ერთი სიტყვით, ელიზბარ უბილაძე, კარპოვისა  
და მისი ქომაგებისათვის, ნამდვილ აღმოჩენად  
იქცა.

ჩვენ მსოფლიო პირველობისათვის გამართულ  
არაერთ მატჩს დავსწრებივართ, მაგრამ გამოგიტყ-  
დებით, ყველაზე მეტად მაინც კასპაროვ-კარპოვის  
მოახლოებული, მეოთხე ორთაბრძოლა გვიანტერე-  
სებს. რატომ? იმიტომ, რომ ორი „კოსმოსური“  
მოჭადრაკის ასმა პარტიამ მაინც ძალზე ბევრი  
გასარკვევი საკითხი დატოვა. ამდენი შეხვედრი-  
დან მხოლოდ ერთი ქულის უპირატესობა არც კა-  
სპაროვის მომხრეებს ამშვიდებს და, ცხადია, არც  
კარპოვის ქომაგთ აყრეყინებს ფარ-ხმალს. ამი-  
ტომაც არის, რომ ჩემპიონიცა და ექს-ჩემპიონიც  
მეტისმეტად ოპტიმისტურად ეგებება სექტემბ-  
რის მატჩს. ორივე აცხადებს, აუცილებლად მე გა-  
ვიმარჯვებო!

დიახ, ეს ასეა — საბოლოო ანგარიშით, რა თქმა  
უნდა, აუცილებლად მოიგებს... ჯადარაყი, მაგრამ  
მაშინ, პატივცემულ გულშემამტკიცებო და  
„დროში“ მკითხველნი, უკვე თქვენც მშვენივრად  
გეცოდინებათ, თუ ვინ არის ამ ორი სუპერდიდ-  
ოსტატს შორის ნამდვილად უძლიერესი.

ჩვენი სახალდრაპო მიმომხილველი.  
**გივი გამრეაელი.**

# კროსვორდის მჭოლი

კროსვორდი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს სიტყვების გამოცნობაზე აგებულ გასართობს. გერმანულად კროსვორტრეტსელი, ანუ ჯვარედინი სიტყვის გამოცანა ჰქვია.

ერთხელ ქალაქ კაშუტატის ყველაზე დიდი ვაზეთის მთავარმა რედაქტორმა საპატიმროდან გამოგზავნილი წერილი მიიღო. კონვერტში კვადრატებითა და ასოებით აჭრელებული ფურცელი იყო.

წერილი მოკლედ იუწყებოდა:

„ძვირფასო ბატონო რედაქტორო, ახალი გასართობი გამოვიგონე. ეგრეთ წოდებული სიტყვების გამოცანა, უფრო ზუსტად, ჯვარედინი სიტყვების გამოცანა და იქნებ თქვენს ვაზეთში დაბეჭდოთ.“

რედაქტორს გაეცინა, წერილი ჯიბეში ჩაიღო და მალე მიავიწყდა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც რედაქტორი თავის რამდენიმე მეგობართან ერთად კლუბში იჯდა, წერილი გაახსენდა და მათ უჩვენა. ისინი დაინტერესდნენ კვადრატებიანი ფურცლით და დაიწყეს მსოფლიოში პირველი კროსვორდის ამოხსნა. როცა მიზანს მიაღწიეს, ბალებივით გაიხარეს.

მეორე დღეს მთავარი რედაქტორი საპატიმროში მივიდა და კროსვორდის ავტორი ვიქტორ ორვილე მოინახულა. თურმე იგი საგზაო ავარიის გამო რამდენიმე წელიწადს იჯდა საპატიმროში და მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად ეს გასართობი გამოიგონა. საპატიმროს ექიმს ურჩევია, კროსვორდი ვაზეთის რედაქციაში გაგზავნო.

და აი ახლა დიდი ვაზეთის მთავარი რედაქტორი იჯდა ვიქტორ ორვილესთან ციხეში და ახალ კროსვორდებს უკვეთავდა.

კაშუტატის ვაზეთს ბევრმა ბეჭდვითმა ორგანომაც მიბაძა და კროსვორდის ეპიდემია მთელ მსოფლიოს მოედო.

ორვილე ამ გონებასახვილურ გასართობზე დღედაღამ მუშაობდა და რედაქციებშიც დიდ საფასურს უხდიდნენ, რადგან მკითხველი იმ ვაზეთს უფრო ეტანებოდა, რომელშიც კროსვორდი იყო გამოქვეყნებული.


### ზ. ამირანაშვილი.

#### მე-9 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**კორიფონტალურად:** 5. გარიბალდი; 10. დუშეთი; 11. მანავი; 12. „აჩრდილი“; 13. გუნია; 14. ფეტვი; 15. ქუთაისი; 17. ირემი; 18. რვალი; 19. ეტაპი; 23. სტილი; 26. ამირანი; 27. პეპია; 28. პეტრე; 29. მართალი; 31. „ნიანგი“; 32. საირმე; 33. ციხისძირი

**შვეულად:** 1. კაფია; 2. ფატარეთი; 3. სარდინია; 4. ედემი; 6. გუგული; 7. ბერძენი; 8. ენძელა; 9. ქვევრი; 15. ქიშია; 16. ირისი; 19. „ელეგია“; 20. ალიონი; 21. მიგრაცია; 22. ნაკაშიძე; 24. „ივერია“; 25. ისრიმი; 29. მისია; 30. „ისარი“.

გარეკანის პირველ გვერდზე: ზამთარში რომ გული მშვიდად გვეკონდეს. ფოტო ბონდო დვალისვილისა; გარეკანის მეოთხე გვერდზე: შვის ჩასვლა. ფოტო ანატოლი რუხაძისა.



**თარგმანად:** 1. სახალხო სეირნობა, მასობრივი მსვლელობა, თეატრალიზებული თამაშობები; 7. გარეული ცხოველი; 10. მრწამსი, რწმენა, მსოფლმხედველობა; 12. უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამაშუკის ან საქონლის გაგზავნას; 14. მარადმწვანე მცენარე; 16. რაიმეს უმაღლესი ხარისხი; 17. ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი; 18. ბერძნულ მითოლოგიაში: გამარჯვების ქალღმერთი; 19. ცხენირემი — წყვილჩლიქიანი ცხოველი; 20. შტატი აშშ-ში; 22. უღელტეხილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში; 23. ყურე ოხოტის ზღვაში; 24. ზოია კოსმენდემიანსკაიას სხვა სახელი; 26. მაღალხარისხოვანი წმინდა ქუჩა. 27. სპორტული ტურმინი კრივში; 30. რეესორის ან დირიჟორის ხელმძღვანელობით სპექტაკლის, კონცერტის, საცირკო ან სხვა სანახაობის მომზადება.

**შვეულად:** 2. მუსიკაში ნელი ტემპი, ბალეტში ნელი საცეკვაო ლირიკული ნაწილი; 3. მუსიკალური ტონის, ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი; 4. თანამდებობის პირის წარწერა რაიმე დოკუმენტზე, რაც ნიშნავს, რომ ეს პირი იცნობს დოკუმენტის შინაარსს და ეთანხმება მას; 5. ცნობილი ქართველი მწერალი; 6. ლითონის ფირფიტაზე სიმუყავით ამოკმული გრაფიურის სახეობა; 8. წყალქვეშა კლდე, ზოგჯერ ოდნავ ამოწეული ზღვის დონიდან; 9. უპირატესობა, პირველობა რაიმე საქმეში; 11. გრუნტის გამაგრება არხების ან მიწისქვეშა მიწების სისტემის საშუალებით; 13. მსუბუქი უარის თეატრი; 14. რომის პროვინცია: შექმნა იმპერატორმა ტრაიანემ, მოიცავდა ახლანდელი რუმინეთის ტერიტორიის ნაწილს; 15. სახალხო კრება. ძველ საბერძნეთში, აგრეთვე ადგილი, სადაც ეს იმართებოდა; 21. მდიდრული სახლი ქალაქგარეთ მდიდრული აგარაკი; 25. მსახიობის სცენაზე გამოვლა; ტაკიმასხარას მანერზე გამოჩენა და ა. შ.; 26. მწვერვალი კრასნოდარის მხარეში; 28. პატარა რესტორანი; 29. ინგლისელი გამომგონებელი, უნივერსალური ორთქლის ძრავისა და პირველი ინდიკატორის შემქმნელი.

შეაღბინა ვაჟა მაგრაძევილიმ.

გადაეცა წარმოებას 14.08.87 ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.09.87 უე 11106. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაბი 5,69. ტირაჟი 50.000. შეკვეთა 1981. ფასი 35 კაპ. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

**რედაქციის მისამართი:**  
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამკეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორის არ უბრუნდება.

ნორჩი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მხატვარი



პლაკატი. „კოდალა უკაკუნებს ნაჯახს ტარზე“.

ანი ქისტაური ჯერ მეოთხე კლასის მოსწავლეა. იგი სწავლობს ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში. ანი ჯგუფში სიბეჯითით, ნიჭით გამოჩენილი მოსწავლეა. ამას წინათ საქართველოს „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის“ პავილიონში ან. ვირსალაძის სახელობის სკოლისა და უშინსკის სახელობის ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო „ჩვენ და ბუნება“. უველას უურადდება ანი ქისტაურის პლაკატმა „კოდალა უკაკუნებს ნაჯახს ტარზე“ მიიპყრო. დავულოცოთ ნორჩ მხატვარს გზა დიდი ხელოვნებისაკენ.



გაკვეთილზე. პედაგოგი ბალდი პეტრიაშვილი.



გამოფენაზე.



ზოოპარკში.

ინფექსი 76056



ეროვნული  
ბიზლიოთეკა

